სპორტიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 12 იანვარი | 1995 № 3 (228) | ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიოს ყველზე ჰკიდია

საოცარია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა, ეს გუნდი ხვალ მხოლოდ მეორედ ესტუმრება ინგლისის დედაქალაქს „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ სათამაშოდ (აგვისტოში „სიტიმ“ „ქუინზ პარკთან“ 0:1 წააგო), თუმცა ჯერ კიდევ ოთხშაბათს გიოსთან ლონდონში შეხვედრის იმედი არ მქონდა. საქმე ისაა, რომ „ვესტ ჰემთან“ გამარჯვების მერე გიოს ანგინა შეეყარა და ამის გამო „ლესტერთან“ თასის თამაში ულიდეროდ დარჩენილმა „სიტიმ“ მეორელიგელს ვერაფერი მოუხერხა და ახლა 17 იანვარს გადათამაშება მოუწევს. „ეს არცაა გასაკვირი. ამ მატჩში ხომ ქინქლაძე არ თამაშობდა. ახლა „სიტის“ ბედი ქინქლაძის ქართულ ყელში მოკალათებული სტრეპტოკოკების რაოდენობაზე ჰკიდია — უამისოდ ეგ გუნდი ვერავის გადაყლაპავს“ — წერდა გასული კვირის „გარდიანი“. ხუთშაბათ დილით მანჩესტერში გიოს ბინაში რომ დავრეკე, პირველად გამიხარდა, სახლის პატრონი შინ რომ არ დამხვდა. ყველაფერი რიგზეა და გიო ვარჯიშზეა წასულიო — მითხრა გიოს დედამ, ქალბატონმა ხათუნამ. ასე რომ, „სიტის“ გასახარად გიო მალე მოშუშდა და „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ ითამაშებს კიდეც.

დავით მჭედლიშვილი, ლონდონიდან



აქაც ვეა, იქაც ვეა

ცხონებული ბრეჟნევი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ნამდვილად შეშურდებოდა ლიბერიელი ვესი, ვინც წლეულს ყველა შესაძლებელი ჯილდო დაისაკუთრა. ჯერ იყო და, ორი ვერსიით აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, შერე ევროპელების დიდსულოვნება შეეწია და ამ კონტინენტის რჩეულიც გახდა, ბოლოს კი, 8 იანვარს მსოფლიოს საუკეთესობაც ირგუნა. ფიფას მიერ ძოწყობილ ეროვნული ნაკრებების მწვრთნელთა გამოკითხვაში ვეამ 170 ქულა მოაგროვა და ბევრად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ მალდინის (80), მესამეზეა იურგენ კლინსმანი 58 ქულით. როგორც შეკიტყვეთ, ჩვენი ნაკრების მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის სამეული საბოლოოსგან მხოლოდ ერთით განსხვავდებოდა — მალდინის ნაცვლად მას ჯანფრანკო ძოლა ჰყავდა დასახელებული. სხვისი არ ვიცით, ჩვენ კი აშკარად ჩივაძის სამეულს ვეთანხმებით — ძოლა წლევანდელ ლაურეატთა შორის მოხვედრას ნამდვილად იმსახურებდა.

ძოპტანენ ჩვენამდე?

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეების, ინგლისისა და იტალიის ნაკრებების მწვრთნელები ტერი ვენეიბლზი და არიგო საკი ევროპის ჩემპიონატზე კი უხელმძღვანელებენ თავიანთ გუნდებს, მაგრამ შემდეგ... საკის ამბავს მეოთხე გვერდზე წაიკითხავთ, ვენეიბლზმა კი გუშინწინ განაცხადა: უამრავი პირადი საქმე დამიგროვდა და ევროპის ჩემპიონატის მერე აუცილებლად გადავდგებიო. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს...

დავით ჯანაშია

სამტრედიული ქრონიკები

უახლოეს ხანს მოსალოდნელია რუსეთს ქართველ ფეხბურთელთა ახალი ტალღა მიაწყდეს და ამას, შესაძლოა, „სამტრედია“ შეეწიროს. სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ სამტრედიელ ფეხბურთელთა უმეტესობას კუთვნილი საკონტრაქტო თუ სხვადასხვა საპრემიო თანხების მიღების ყველა იმედი გადაეწურა და გუნდიდან წასვლას აპირებენ. საქართველოს ნაკრების წევრი დათო ჯანაშია და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ზურაბ იონანიძე სოჭის „ექიმჩუეინას“ დაუბეგვია, ბესიკ ბერაძეზე ადრეც ვიუწყებოდით — ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“ აპირებს თამაშს, ზაზა ჯანაშია სიომინმა მოსკოვის „ლოკომოტივში“ წაიყვანა, ვალტერ გუჩუაზე კი თავი შეიკავა უცხოელთა სიჭარბის გამო, თუმცა ცნობილია, რომ გუჩუა საქართველოში დარჩენას არ აპირებს. მოკლედ, თუ ვითარება არ შეიცვალა, დიდი იმედებით შექმნილი „სამტრედია“ ალბათ საგრძნობლად დასუსტდება. ცხადია, ეს ძალიან საწყენი იქნება: ტარიელ ჩაჩუას ფეხბურთის სიყვარული კი ამოძრავებდა, მაგრამ ძლიერი გუნდისთვის საჭირო ბირობების შექმნის სირთულე, ეტყობა, ბოლომდე ვერ გათვალა, ვალებში ჩაეფლო და ფეხბურთელებიც უიმედოდ არიან. თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც — სავსებით შესაძლოა, ჩაჩუამ თავის საქმიანობაში პატარა სული მოითქვას და მდგომარეობასაც გამოასწორებსო. ჩაჩუაც თავის ყოველ ინტერვიუში ცდილობს, ასეთი იმედიანი განწყობა განამტკიცოს. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები. ფაქტი კი ერთია — ფეხბურთელებს გაქცევაზე უჭირავთ თვალი.

დავით ცომაია

გია ჯიშკარიანი

ზურაბ იონანიძე

„სამტრედიის“ ყოფილი ნახევარმცველი დათო ცომაია და გუნდის ყოფილი კაპიტანი გია ჯიშკარიანი რუსეთის უმაღლეს ლიგაში გადასულ ტოლიატის „ლადაში“ მიდიან. „სამტრედიიდან“ წამოსვლის შემდეგ ისინი უკრაინის ჩემპიონატში მოასპარეზე მიხეილ ფომენკოს „ბორისფენში“ იმყოფებოდნენ გასასინჯად, მაგრამ პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და საქართველოში დაბრუნდნენ. მას შემდეგ მოლაპარაკებები გამართეს სხვადასხვა გუნდებთან და, როგორც შევიტყვეთ, მათი არჩევანი „ლადაზე“ შეჩერებულა.

რომეო გოგიტაძეც ყოფილი სამტრედიელია და ახალგაზრდული ნაკრების წევრიც გახლდათ. ეროვნული ჩემპიონატის დებულებით, მოგეხსენებათ, შუა ჩემპიონატში I ჯგუფის სხვა გუნდში გადასვლა არ შეიძლება, არადა, გოგიტაძეს „შევარდენში“ თამაში სურდა და რადგან ეს საქმე არ მოხერხდა, იგი ჩინეთში აპირებს გამგზავრებას. მისი ახალი გუნდი ჩინეთის ჩემპიონი, ყოფილი ცხუმელის გოჩა ჟორჟოლიანის „შენ ხუა“ იქნება.

«ლოკომოტივი-შევარდენი»: ყოფნა – არყოფნა...

„შევარდენს“ და „ლოკომოტივს“ თავიდანვე ასე დაებედათ — ყოველ ახალ სეზონს იმედებით ხვდებოდნენ, მაგრამ მერე... მათმა ახლანდელმა გაერთიანებამაც ქომაგებს აფიქრებინა, ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს ჩემპიონატს საარიზო აღგილებისათვის მებრძოლი გუნდი შეემატებაო, ჩემპიონატის მსვლელობამ კი ნაცნობი სურათი წარმოაჩინა — „ლოკომოტივი-შევარდენი“ ფინანსურმა გასაჭირმა მძიმე, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და I წრე არც დამთავრებულიყო, რომ ითქვა — გაერთიანებას შეიძლება დაშლა მოყვესო, ხოლო კლუბის დირექტორატში „შევარდენის“ წარმომადგენლები — ზურაბ ქიტიაშვილი და მალხაზ გუგავა გუნდის საკუთარ მფლობელობაში დაბრუნებას აპირებენო.

პრობლემების მოსაგვარებლად გუნდის მთავარი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე 7 იანვარს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს აკაკი ჩხაიძეს შეხვდა. საუბარი ნაყოფიერი გამომდგარა. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ამ ცოტა ხნის წინ უიმედოდ მყოფი მწვრთნელის განწყობა.

— გუნდი 15 იანვრიდან ჩვეულებრივ მოემზადება. მართალია, ფინანსური პრობლემები იყო და არის, მაგრამ ჩხაიძემ ყოველგვარი დახმარება აღგვითქვა, რათა ჯერ ოდნავ მოვმჯობინდეთ, შემდგომ კი საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი გუნდი შევქმნათ.

— დაპირებები არც ადრე გაკლდათ. უკვე ძნელიც კია, ახალი დაპირებებისა ირწმუნო...

— ადრინდელ დანაპირებს კლუბის ძველმა პრეზიდენტმა გოგი ხაზარაძემ თავი კი გაართვა, მაგრამ მერე მას პირადი პრობლემები შეექმნა. ახლა ბატონმა აკაკი ჩხაიძემ მიზნად დასახა იმ გზების გამონახვა, რომლებიც გუნდის შენახვას გაგვიადვილებდა. მოგეხსენებათ, რკინიგზის დეპარტამენტს უდიდესი შესაძლებლობები გააჩნია და მალე გუნდთან შეკრებილ კომერციულ სტრუქტურებს, რომლებიც მდგომარეობას შეეგუებიან.

— როგორ აეწყობა ურთიერთობა ღირიტაორატის იმ ნაწილთან, რომელიც „შევარდენს“ წარმოადგენენ. ცნობილია, რომ მათ სურთ გუნდს კვლავ „შევარდენი“ ეწოდოს და მათ მფლობელობაში დაბრუნდეს...

— ახლახან ბატონ ზურაბ ქიტიაშვილს ვესაუბრე. მართალია, მათ ფეხბურთის ფედერაციას მიმართეს თხოვნით, რათა გუნდი დაბრუნებოდათ, მაგრამ მეორე მხრივ დიდი სულგრძელობაც გამოიჩინეს — თანხის გადასახდელი ვადა მეორე წრის დაწყებამდე გაგვიგრძელეს. თვით ქიტიაშვილიც ყოველთვის ჩვენი გუნდის დირექტორატის აქტიური წევრი იქნება.

— ამჟამად ვინაა კლუბის პრეზიდენტი?

— ღღეს ჩვენ პრეზიდენტი არ გვყავს, მის მოვალეობას მე ვასრულებ.

— სამომავლოდ კანდიდატი თუა შეგულებული?

— რკინიგზის დეპარტამენტში ჩატარდება საარჩევნო კონფერენცია და პრეზიდენტის ვინაობას მაშინ შევიტყობთ.

— ეს როდის იქნება?

— უახლოეს მომავალში. მე და რკინიგზის დეპარტამენტის სპორტული განყოფილების გამგე ქალბატონი ნანა ბაღაშვილი კიდევ ვაპირებთ ბატონ აკაკი ჩხაიძესთან შესვლას, რათა უფრო დეტალურად განვიხილოთ ყველა საკითხი. დროა უშუალოდ საქმეზე გადავიდეთ. პირველი არის ძველი პრეზიდენტის ოფიციალური განთავისუფლება. მან უდაოდ დიდი საქმე გაკეთა, მასზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— გიზო ჯილაძე „დინამოში“ ემზადება. რა ვიფიქროთ, შესაძლოა, შარშანდელივით დებულება შეიცვალოს?

— დებულებაში ცვლილებას ნამდვილად არ მოველი, რადგან მეც მსურდა ყოფილი სამტრედიელების ჯიკავეისა და გოგიტიძის დამატება, მაგრამ ფედერაციამ ამის ნება არ დაგვრთო. რაც შეეხება ჯელაძეს — თუ ჩვენ „დინამოს“ ხელმძღვანელობას შესაფერისად მოვურიგდით, ამის წინააღმდეგი არ ვიქნები, მინდა, რომ ყველა ჩვენმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა თავისი უნარი „დინამოსნაირ“ გუნდში გამოავლინოს, თუ რა თქმა უნდა, დებულება ხელს არ შეუშლის. ასევეა სხვებთან დაკავშირებითაც. თანაც, ერთიც არის: ზოგიერთი ვეტერანი ფეხბურთელი ცოტა განებივრებულია და თუ ისინი მოითხოვენ გუნდიდან წასვლას, მე ამას უმალ დავეთანხმები.

— ვის მოყვანას აპირებთ?

— ვფიქრობ, ჩვენი 19 მოთამაშე სავსებით საკმარისია დასახულ მიზნების შესასრულებლად — გავაკეთოთ ის, რაც პირველ წრეში ვერ შევძელით. მინდა, ყველა მოთამაშეს მადლობა უთხრა, ისინი ყველა სიძნელეს ვუჯაცურად იტანდნენ. უკვე მესამე თვეა, ბიჭებს ხელფასები არ აუღიათ.

— თქვენ რომ ბრძანეთ, ყველა პირობა შეგვისრულესო?

— მე ვქვი, რომ ყველა პირობა აღგვითქვეს. ეს დეტალებში განვიხილეთ და სიტყვიერ ვთქვა, გამაოცა აკაკი ჩხაიძის ცოდნამ. იგი თურმე ადრე ფეხბურთელი ყოფილა და კარგად ესმის, რა სჭირდება სუპერკლუბის შექმნას. თანაც, ბიზნესის ერთ-ერთ წყაროდ ალბათ, მოთამაშეთა გაყიდვაც იქცევა. ბიჭეთები კი ჯერ უნდა მოვიზიდოთ.

— დღეს ცოტა სასაცილო ხომ არა არის საუბარი „შევარდენი-ლოკომოტივის“ სუპერკლუბად ჩამოყალიბებაზე?

— მე „შევარდენთან“ არავითარი საქმე არა მაქვს. ლაპარაკია თბილისის „ლოკომოტივზე“. ამ გუნდს ერთი სახელი — „ლოკომოტივი“ ერქმევა.

— „შევარდენი“ აღარ იქნება?

— ჩამოშორდება ეს სახელი, როდესაც „ლოკომოტივი“ დავალიანებას გადაიხდის.

— ბატონი ზურაბ ქიტიაშვილი რომ ამბობდა ჩემს შვილობილს არ გავყიდიო?

— ეს იყო ადრე. ბატონი ზურაბი შორსმჭვრეტელი კაცია და მიხვდა, რომ სჯობს უფულო გუნდი ღირსეულ პატრონს ჩაბარდეს, რათა არსებობა გაგრძელოს. ამისათვის „შევარდენის“ ყველა წარმომადგენელს მადლობას ვუხდი. ახლა გუნდს ერთი მეპატრონე ეყოლება — რკინიგზის დეპარტამენტი.

...მწვრთნელის ოპტიმიზმს მოთამაშეები არ იზიარებენ, თუმცა კი, მათ შორისაც არის განსხვავებული აზრი.

ჯახა ბოგოლაძე: ბიჭები ძალზე გულგატეხილები ვართ. რამდენი ხანია, ხელფასი და პრემიები არ აგვიღია. როგორია, ახალ წელს უკაპიკოდ დარჩენ? ვეჭვობ, ამას ვინმე შეეგუოს. მართალია, დღეს გუნდში ვირიცხები, მაგრამ თუკი ასე გაგრძელდა, წავალ აქედან. საქართველოს რომელიმე გუნდში თამაშს გამოვრიცხავ — დაბალეთში მხოლოდ დაბალ ლიგაში ვადასვლა შეგვიძლია. ეს კი მე ხელს არ შაძლებს. შეიძლება, რუსეთში ან სხვა ქვეყანაში წავიდე. იცით, ამას რატომ ვამბობ? მე ადრე მითამაშია რკინიგზის გუნდში და ვიცი, ფეხბურთელისთვის ეს რამხელა „ბედნიერებაა“. ახლა ვაკის დარბაზში, ჩემთვის ვვარჯიშობ. ყველანი ასე, ცალცალკე ვართ მიმოფანტულები და არც ვიცით, რა იქნება ხვალ.

დათო ხეტეშვილი: თუ ნორმალურ კლუბში არ მიმიწვიეს, გუნდს არ დავტოვებ. კონტრაქტზე ხელი მაქვს მოწერილი და სად უნდა წავიდე? გავიგე, რკინიგზის ხელმძღვანელებს უთქვამთ, გუნდის შენარჩუნებით და გაძლიერებით ვართ დაინტერესებულნაო. ვნახოთ, რა გამოვა ამ დაპირებიდან. თანაც, მეორე წრე სულ რაღაც სამ თვეში დასრულდება და გუნდის შეცვლას აზრი არა აქვს. კაპიკიც რომ არ მომცენ, მაინც დავრჩები. ყოველ წელს გუნდიდან გუნდში გადასვლა ჩემთვის მიუღებელია.

დათო დათუაძე: ჯერ არ გადამიწყვეტია, დავრჩე თუ არა. ისე კი წასვლა მსურს — ჰოლანდიაში ან კრასნოდარის „ყუბანში“. ჰოლანდიაში გასამგზავრებელი თანხა რომ მაშოვინა, თუნდაც ღღესვე გავემგზავრები. ჩემი ახლობელია იქ და ჰოლანდიის მეორე ლიგის გუნდის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებია ჩემი ჩასვლა და გასინჯვა. თუ თანხა ვერ ვიშოვე, კრასნოდარის „ყუბანში“ გადავალ. ჩემი ნათქვამი ისე არ გაიგოთ, თითქოს გუნდი იშლებოდეს, მაგრამ საქართველოში გული არ მიჩერდება.

რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან აკაკი ჩხაიძესთან შეხვედრა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. იგი ფოთში იმყოფებოდა მივლინებით, სადაც ინგლისელ საქმოსნებს უნდა შეხვედროდა. ადგილზე არ დაგხვდა რკინიგზის დეპარტამენტის სპორტული სექციის გამგე, ქალბატონი ნანა ბაღაშვილიც - პარლამენტში სპორტის კომიტეტის მუშაობას ესწრებოდა. არადა, მათგან ბევრის გაგება შეიძლებოდა.

ასეა თუ ისე, ვფიქრობ, „ლოკომოტივ-შევარდენში“ შექმნილ ვითარებაზე გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებოდათ. როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ღღეს გუნდის ყოფნა-არყოფნის ბედის წყდება.

მერაბ მამულაშვილი

მამუკა ჯიქია მეორე სეზონია ავსტრიის უმაღლესი დივიზიონის „ლასკში“ თამაშობს. „შევარდენის“ შეტევების ორგანიზატორს თავი არც უცხოეთში შეურცხვენია, ავსტრიაში მუდამ ძირითადში თამაშობდა და მწვრთნელთაგანაც ყოველთვის ნდობას იმსახურებდა. მამუკას „ლასკთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ამჟამად თბილისში მყოფი ჯერჯერობით ინდივიდუალურად ემზადება: გაურკვეველია, ისევ უცხოეთს გაემგზავრება თუ საფეხბურთო კარიერას საქართველოში გააგრძელებს. მას მაშინ გავესაუბრეთ, როცა იპოდრომისკენ მიიჩქაროდა სავარჯიშოდ.

ჯიქიას ბოსმანი თუ უშველის

— რას მივაწეროთ შენი ჩამოსვლა — შვებულებით ხარ თბილისში თუ სათამაშოდ ჩამოხვედი?

— „ლასკთან“ ერთწლიანი კონტრაქტი დამითავრდა, ახლის გაფორმება კი გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. პირველი ისაა, რომ მე ჩემი პირობები წავუყენე ხელმძღვანელობას, მეორე და ყველაზე მთავარი კი ესაა: ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ჩემთვის ავსტრიისთვის სპეციფიკური სამუშაო ვიზის გამოწერა. ჩემი მენეჯერი, ავსტრიაში ცნობილი ბიზნესმენი ვოლპელმ რედლი სწორედ ამ სამუშაო ვიზის საკითხის მოსაგვარებლად დარბის. რა გამოვა აქედან, მალე გაირკვევა.

— „ლასკში“ რა ხდება?

— დიდი არეულობაა. თითქოს დაგვებედაო, ხელმძღვანელობა ძალიან ხშირად იცვლება. ახლაც — პრეზიდენტი, მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი შეცვალეს. ბუნებრივია, ახალი მოთამაშეებიც დაგვმატნენ. გუნდი დატოვეს ავსტრიის ნაკრების წევრებმა საიცამ, რამუშმა და ხოხმაიერმა, ეს უკანასკნელი გრაცის „კაზინოში“ გადავიდა. სეზონის დასაწყისშივე მინსკელი გურინოვიჩიც გაუშვეს, ხოლო მეტლიცკი დარჩა. ორი ხორვატი — კარტალია და დუსპარა ისევ „ლასკში“ ირიცხებიან. ასე რომ, ფაქტიურად, მეოთხე უცხოელი აღმოვჩნდი.

— ახალ მწვრთნელთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— საკმაოდ ნორმალური. კრონშტეინს თავიდანვე, ვარჯიშებზეც მოვწონდი, მერე საკონტროლო თამაშების დროც დადგა. თავდასხმაში დამაყენა. მეც თავი არ შემრცხვენია და ბლომად გოლებიც გამქონდა. პირველივე თამაშში, მეორე ლიგის გუნდთან, ექვსი გოლი გავიტანე, ამაზე სულ გადაირია და ყველა საკონტროლო მატჩში თავდასხმაში მთამაშებდა, მეც გამქონდა და გამქონდა. ჩემპიონატის ყველა შეხვედრაში ვითამაშე, გრაცის „შტურმს“ გოლიც გავუტანე, ოღონდ ამჯერად მწვრთნელი თავდამსხმელების უკან მთამაშებდა. კრონშტეინს ძალიან სურდა, ახალი კონტრაქტი გამეფორმებინა, მაგრამ, ვიმეორებ, ცალკე ჩემი პირობები მქონდა, ცალკე სამუშაო ვიზის პრობლემამ გამაწამა. ამ საბუთის გამო მოსკოვშიც კი ჩავედი ავსტრიის საკონსულოში, ვფიქრობდი, იქნებ უფრო იოლად გავახერხო იმ დაწყებული ვიზის მიღება-მეთქი, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ, ორჯერ მეტ წინააღმდეგობას წავწყდი. საბოლოოდ, ყველაფერი ჩემს მენეჯერს მივანდე და ის შეეცდება საქმის მოგვარებას.

— სხვა გუნდებში ხომ არ გიწვევდნენ?

— ობეროსტერრაიხის მხარის გუნდი „რიდი“ იყო ძალიან დაინტერესებული, მაგრამ „ლასკმა“ სატრანსფერო თანხა ძალიან გაბერა და... დაინტერესებული მეორე დივიზიონის „ბრაუნაუც“ იყო. „როდი“ პირველი დივიზიონის გუნდია და, რა თქმა უნდა, გული იქითკენ მიწევდა. რაც უნდა იყოს, იქ თამაში უფრო პრესტიჟულია, ვიდრე დაბალ ლიგაში.

— „ლასკმა“ ტრანსფერში დიდი ფული მოითხოვაო, მაგრამ ბოსმანის საქმემ ხომ ბევრი რამ შეატრიალა ევროპულ ფეხბურთში...

— საქმე ის არის, რომ ავსტრიიდან მე მანამდე ჩამოვედი, სანამ ბოსმანი სასამართლო პროცესს მოიგებდა. ბოსმანმა ამ საქმის მოგებით ჩემს წისქვილზეც დასხა წყალი. ახლახან ტელეფონით ვესაუბრე ჩემს მენეჯერს და მითხრა, აწი ვერ დაგაკავებენო.

— როცა „ლასკი“ ინტერტოტოს თასზე ასპარეზობდა, მაშინ თბილისში იმყოფებოდი. უკან დაბრუნებულს ხელმძღვანელობამ ხომ არ გისაუბრია?

— არა. როცა ინტერტოტოს გათამაშება იწყებოდა, უფროსობამ ყველა გაგვაფრთხილა, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მხოლოდ 18 წლის ფეხბურთელები მიიღებენო. დანარჩენები გაგვანთავისუფლეს. ისე, ინტერტოტო ავსტრიაში დიდი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის და მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ.

— „დინამო“ ევროთასებზე სერიოზულ მიზნებს ისახავს. ხომ არ შეიძლება, შენც მის წევრად მოგვევლინო?

— ჯერ-ჯერობით კლუბის ხელმძღვანელობასთან და მწვრთნელებთან სერიოზულად არც მისაუბრია, უბრალოდ, საამისო დროც არ იყო. სანამ „დინამო“ თურქეთიდან ჩამოვა, მანამდე ბევრი რამ გაირკვევა. თუ „ლასკიდან“ განთავისუფლების შეთხვევაში მსურდა, „დინამოში“ მეცალა ადგილი, მაგრამ არ დავმალავ და ვიტყვი — თუ ავსტრიაში ყველაფერი მოგვარდა, იქ მირჩევნია თამაში.

— რამდენიმე დღის წინ დიღმის ბაზაზე ორმოცდახუთწუთიან ორმხრივ მატჩშიც ითამაშე. როგორ ფიქრობ, შეეწყობი „დინამოს“ სათამაშო სტილს თუ გაგიჭირდება?

— დაახლოებით ერთი თვე იქნება, არ მივარჯიშია, მაგრამ არ გამჭირვებია თამაში. ჩემი აზრით, „დინამოსთან“ შეწყობა არ უნდა გამიჭირდეს. თუ ავსტრიაში შემეძლო, აქაც შევძლებ. ჩემი წინა მწვრთნელი სკონიკი უფრო ფიზიკურ მომზადებას აქცევდა ყურადღებას, სულ გვარბენინებდა, კრონშტეინი კი ბურთთან მუშაობას მეტ ყურადღებას უთმობდა, ეს ორივე კი „დინამოში“ გამომადგება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ცოტა გამოცდილებაც მივიღე და, ბოლოს და ბოლოს, მეც ქართველი ვარ.

— ბულგარელების დამარცხების შემდეგ ავსტრიაში ჩვენი ნაკრების ავტორიტეტი თუ ამაღლდა?

— დიდი აჟიოტაჟი ნამდვილად არ ყოფილა. უბრალოდ, იციან, რომ ჩვენი ნაკრები ხელწამოსაკრავი არ არის. უფრო დიდი გაოცება უელსის განადგურებამ გამოიწვია. 5:0 რა ამბავიაო, იძახდნენ. მოკლედ, გარკვეულ ანგარიშს გვიწევენ და საკმაოდ ძლიერებადაც გვთვლიან, ამიტომ არ გაკვირვებიათ ბულგარელებთან გამარჯვება.

— ახალგაზრდულ ნაკრებში შენი ასაკის ბიჭებს უწევთ თამაში. ხომ არ შეგხმიანებიან მიწვევის შესახებ?

— არავინ დამიკავშირებია, მაგრამ ახალგაზრდული ნაკრების ტურნირში მონაწილეობა ჩემი ოცნებაა, სხვა თუ არაფერი, საქმე საქართველოს პრესტიჟს ეხება.

— შენ საქართველოშიც ითამაშე და ავსტრიაშიც მოსინჯე ძალები. შეადარე ჩვენი და მათი ჩემპიონატები.

— საქართველოში ზოგიერთი გუნდი წინასწარ განწირულა აუტსაიდერობისთვის. არ არის კოკკურენცია, სამი-ოთხი გუნდი ძლივს მოიძებნება, „დინამოს“ გარკვეული წინაალმდეგობას რომ გაუწევს. ხაზს ვუსვამ, გარკვეულს, თორემ, არა მგონია, საბოლოოდ ვინმე ჩემპიონობაში შეეწიროს. ავსტრიის პირველი დივიზიონის ათ გუნდში კი ყოველთვის მოიძებნება ხუთი-ექვსი, რომელთაც ჩემპიონობა სურთ. გამოკვეთილი აუტსაიდერიც კი არ არის, ყოველთვის გამოჩნდება ისეთი, რომელსაც ლიდერის დამარცხება ძალუძს. თანაც, გუნდები გასვლით ატარებს უფრო იგებენ, ვიდრე შინ. უბრძოლველად შეუძლებელია გამარჯვება. დაბალულობა მთელი ოთხი წრე არ ცხრება. საქართველოს პირველობაზე ამას ვერ ვიტყვით. ჩემი აზრით, ოთხ წრედ ათგუნდიანი ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო იქნებოდა.

— საბოლოოდ როდის გაირკვევა, სად ითამაშებ?

— „დინამო“ თურქეთიდან 21 იანვარს დაბრუნდება. მანამდე ავსტრიაშიც გადწყდება ჩემი საკითხი, თუ „ლასკში“ არ დავრჩი, სხვა კლუბებიც არიან ჩემი გადაბირების მსურველები. ბოსმანის საქმემაც სულზე მომისწრო, ამიტომ პრობლემა არ უნდა გამიჩნდეს. მთავარია სამუშაო ვიზა.

რაც უნდა დაინტერესებულნი იყვნენ სხვა კლუბები, ვიზას გვერდს ვერ აუვლი. თუ ჩემთვის „დინამოში“ ყველაფერი კარგად აეწყო, წელიწადნახევარი აქ თამაშიც არ მაწყენდა, მერე კი... მოკლედ, უახლოეს ხანს ყველაფერი გაირკვევა, თუ ვინმეს დავჭირდები, მე მუდამ მზად ვარ...

მამუკა კვანტალიანი

თემურ გადელია არჩევანის წინაშეა

როგორც ჩანს, ესენგეს სივრცესა და საქართველოს შორის მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა არაა: „ცხუმის“ ყოფილი მოთამაშე, უკრაინის უმაღლესი ლიგის ბუკოვინის „ჩერნოვცში“ მოთამაშე თემურ (გიგა) გადელია საქართველოში აპირებს დაბრუნებას, მაგრამ სად ითამაშებს, ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია. გადელიას გადაბირებას „სამტრედია“ და „მარგვეთი“ ცდილობენ, ამ გუნდების წარმომადგენლები მასთან მოლაპარაკებასაც აწარმოებენ. ზესტაფონის „მარგვეთის“ პრეზიდენტს ვასილ ხაჭაპურიძეს საფუძვლიანად მოუწადინებია გუნდის გაძლიერება და გადელიას გარდა, კიდევ რამდენიმე მოთამაშის ჩამოყვანა სურს რუსეთიდან და უკრაინიდან.

გიორგი ხუციშვილი

ამ ბიჭებმა თავიანთი პირველი შეჯიბრი მოიგეს! ანზორ ზუკაკიშვილის მოწაფეებმა, თბილისის „ავზას“ ყველაზე პატარა, რვაწლიანმა ფეხბურთელებმა გიორგი ბაქანიძის ხსოვნის ტურნირში აჯობეს ყველას და რამდენიმე პრიზიც დისაკუთრეს: საუკეთესო მეკარე ირაკლი გაგუა გახდა, ნახევარმცველი — ბაჩო გულაშვილი, ნიკა კერესელიძემ კი ყველაზე მეტი გოლი გაიტანა.

„დინამო“ პრასოდეს დაინგრევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიპროსიდან მომავალ დავით ყიფშიანს კარგა ხნის ნაფიქრი და აწონილ-დაწონილი ექნებოდა, რას მოიმოქმედებდა „დინამოში“ ჩამოსვლისთანავე, მაგრამ არა მგონია, ის გამოეთვალა, რომ ლიდერობას ნაჩქეფი გუნდით მთელი პირველი წრის განმავლობაში მესამე ადგილს ვერ ასცდებოდა და წრის ბოლოსაც, „მცირე ფინალის“ მოგების შემდეგ დაიკავებდა ჩვეულ ადგილს გათამაშების ცხრილში. აკი თავად მითხრა კიდეც:

— ნამდვილად ვერ მოვიფიქრებდი, თუ მთელი წრე მდევრის როლში მოგვიხდებოდა ყოფნა. ის კი არა, 4-5 ქულით გავუსწრებთ პირველი წრის შემდეგ მდევარ გუნდს-მეოქი, ამას ვვარაუდობდი...

— ამ ხნის მანძილზე ეჭვი ხომ არ შეგპარვიათ, რომ პირველ ადგილს ვერ დაიკავებდით?

— ეჭვი მუდამ არსებობს, მაგრამ მაინც მქონდა იმედი, რომ პირველ წრეს ლიდერებად დავასრულებდით.

— შეაფასეთ პირველი წრე „დინამოსთვის“.

— ვიტყოდი, რომ დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა მთელი წრე მუდამ პრობლემების გადაჭრაში ვიფავთ. მაინც ვთვლი, რომ ამოცანა შესრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ ძვირფასი ქულები დავკარგეთ.

— მაშ ის მატჩებიც გავიხსენოთ, რომლებშიც მართლაც ძვირფასი ქულები დაკარგეთ

— ფოთში „კოლხეთთან“, ხაშურში „ივერიასთან“, ზესტაფონში „მარგვეთთან“ და შინ „ბათუმთან“.

— ფოთში უპირატესობა გვქონდა, მაგრამ მატჩის მიწურულს პენალტით გაგვითანაბრეს ანგარიში. ხაშურში შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გავუშვით მოგება ხელიდან, ბათუმთან ხომ კინაღამ წავაგეთ, მეტად კურიოზული გოლი გავუშვით, ისიც მატჩის ბოლოს. ზესტაფონში კი თავად ნახეთ, იმ დროს ისე ჩამოიქცა ცა, ფეხბურთი არ ერქვა, რაც ვითამაშეთ. იქაც, სხვათაშორის, ბოლო წუთებში გაგვიტანეს გოლი, ჩვენ კი, ალბათ გახსოვთ, რამდენი ნაღდი საგოლე მომენტი გაგვაცუდა ბოლოდ იმიტომ, რომ წყალმა ბურთი სწორ ადგილზე გაარერა.

— ზესტაფონის მატჩის შესახებ ფეხბურთელებსაც ვისაუბრე და „დინამოს“ ბულშემატკივრებსაც. ყველა ერთხმად იმასვე გაიძახის, რაც თქვენ ბრძანეთ წეღან — ჭვიმა იყო და ფეხბურთის ნაცვლად წყალბურთი ვითამაშეთო. კი მაგრამ ზესტაფონელთათვის არ იყო ჭვიმა და თქვეშ?

— სავსებით მართალი ბრძანდებით, მაგრამ მარტო ჭვიმის გამო არ წაგვიგია. ჯერ ერთი, ჭვიმამ და მძიმე გრუნტმა ყველა ის კოზირი, „დინამოს“ რომ გააჩნია „მარგვეთის“ წინააღმდეგ, გაანეიტრალა. ალბათ დამეთანხმებით, რომ მასპინძლებს იმ თამაშში უპირატესობა არ ჰქონიათ.

რაკიღა ამ მატჩზე ჩამოვარდა სიტყვა, ალბათ გეხსომებათ, რომ ავტობუსი გაგვიფუჭდა შუაგზაში და სწორედ თქვენმა მიკროავტობუსმა გვიშველა, ფეხბურთელთა ნაწილიც სხვა ავტობუსებით ჩამოვიდა და თამაშამდე ორიოდ წუთით ადრე მივედით. შემეძლო ტექნიკური ეშმაკობა მეზმარა და სულ წუთით დამეგვიანა, მაგრამ ზესტაფონელ გულშემატკივარს ვეცით პატივი, სტადიონი იმ ჭვიმაში გაჭედილი იყო და როგორი საქმეა, თამაშზე უარი გვთქვა. სწორედ იმ ნაღდი გულშემატკივრის ხათრით ვითამაშეთ, ასეთ თავსხმაში რომ მოვიდა სტადიონზე. რაც შეეხება ხაშურის მოედანს, ასეთ საფარზე ფეხბურთის თამაში არ შეიძლება.

— ზემოთ არაერთხელ ახსენეთ, მატჩის მიწურულს გავუშვით მოგება ხელიდან, კურიოზული გოლი გაგვიტანესო... ეს რომ ერთხელ მომხდარიყო, მართლაც შეიძლებოდა კურიოზული გვეწოდებინა, მაგრამ როცა რამდენჯერმე განმეორდა, კურიოზს ვეღარ დავარქმევთ, მიზეზი უფრო სერიოზულია...

— მართალი ხართ, მიზეზი მართლაც უფრო სერიოზულია. მე უფრო ბიჭების გამოუცდელობას ვიბრალებ. თამაში 90 წუთი გრძელდებოდა, არც თავდაჯერების მოშენტა გამოსარიცხი. გუნდის საშუალო ასაკი 19 წელია, გამოცდილება კი მოგეხსენებათ...

— მსჯელს ხომ არ „შეუტანათ წვლილი“ იმ 4-5 ქულის დაკარგვაში?

— მე ასე ვიტყვი — საქართველოში პატიოსანი მსაჯებიც არიან და გამყიდველებიც, მაგრამ მე მათ ვერ განვსჯი, რადგან საკუთარი თვალით ვნახე, რა პირობებში მსაჯობენ ქართველი არბიტრები. აფერუმ, მათ ვაკაცობას! ასეთი დაუცველნი არიან და მაინც ასე მსაჯობენ. უცხოეთში ხშირად მინახავს, თამაშის შემდეგ როგორ მიაცილებს მსაჯებს პოლიციის ესკორტი. თუ ცივილიზებულ ხაზოგადოებას ვაშენებთ, ჩვენც აქეთ უნდა წავიდეთ. ვის რა უფლება აქვს, მსაჯს სცემოს? არა, მართალი არ ვიქნები, რომელიმე ქულის დაკარგვა მსაჯს დავბრალო.

ყველაფერი მაინც ფეხბურთელის და მწვრთნელის ხელების შლით და მსაჯისადმი აპელაციით იწყება. სამწუხაროდ, საქართველოში მაყურებელთა ნაწილი ფეხბურთში მეტად გაუთვითცნობიერებელია და მყის წამოეგება ხოლმე ამ ანკესზე. გინახავთ ოდესმე, მსაჯს შეკამათებოდი ან ხელები გამეშალოს! თუ მივდიგარ მიდგრის კიდესთან, მხოლოდ იმიტომ, რომ თამაშში საჭირო კორექტივები შევიტანო. არასოდეს ვიკადრებ ხელების შლას და ფეხბურთელის შეცდომის მსაჯისთვის გადბრალებას.

— სეზონის წინ რას ფიქრობდით: გაგეკეთებინათ დუბლი, თუ გუნდი შეგეთამაშებინათ სამამოვლო დიდი მიზნებისათვის?

— ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ადრეც მითქვამს, „დინამო“ ჩემპიონატს ყველა შემთხვევაში მოიგებს. იქნება ყიფიანი მისი მწვრთნელი თუ არა. სხვა საქმეა ის მიზნები, ჩვენ რომ დავისახეთ. მე მინდა „დინამო“ ევროპული კლასის გუნდად ვაქციო. გამოივა თუ არა, სხვა საქმეა.

— კონკურენტებზე რას გეტყვით?

— უკვე გამოიკვეთა ის გუნდები, ვისთანაც მოგვიწევს ბრძოლა. „სამტრედიამ“ დაარღვია ერთწლიანი გუნდების „ტრადიცია“, ფოთი, რუსთავი და ბათუმიც ტრადიციულად ძლიერები არიან. მივესალმები ზესტაფონის გაძლიერებას — ეს ხომ ინტერესს მატებს ჩემპიონატს. მეორე წრეში აუცილებლად ბრძოლა იქნება და ეს ძალზე სასარგებლოა. ერთი კი მინდა გითხრათ — „დინამო“ არასდროს წავა კომპრომისზე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მომივიდა ცნობა — გუნდებმა უკვე ქულები „გაცვალეს“. უბრძოლველად კლასი არ ამაღლდება.

— ასეთ შემთხვევაში, მინდა გაგიმეოროთ კითხვა, რომელიც თბილისში ჩამოსვლისთანავე დაგისვეს: რამდენგუნდიანი უმაღლესი ჯგუფი მიგაჩნიათ საქართველოსთვის ოპტიმალურად?

— მივხვდი თქვენს შეკითხვას. რამდენი ძლიერი გუნდი მოიძებნება საქართველოში? მაქსიმუმ — ექვსი. ექვსგუნდიან ჩემპიონატს ხომ არ ჩავტარებთ? არადა, 22 ძლიერი რომ იყოს, სწორედ ამდენ გუნდიანი ჩემპიონატი უნდა ჩაგვეტარებინა.

— ნუთუ „სამტრედიასთან“ სეზონში ოთხჯერ შეხვედრა არ სჯობს, მაპატიონ, და „დურუჯთან“ ან კიდევ ერთი-ორ გუნდთან ნათამაშევ ორ მატჩს? როგორ გინდათ გუნდმა საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას მიაღწიოს, როცა ჩემპიონატში ასეთი სუსტი გუნდები გვყავს. ამათთან უნდა აიმაღლოს „დინამომ“ კლასი?

— გეთანხმებით, მე ბევრი ვიფიქრე ამაზე და ფლეი-ოფის სისტემაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. ასეა ყველგან, ყველა სახეობაში, ჩემპიონთა ლიგაც ხომ ამ პრინციპზეა აგებული. ათგუნდიანი ჩემპიონატი ერთის მხრივ კარგია, მაგრამ უამრავ პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. საერთოდ კი, გეთანხმებით, გუნდების რაოდენობის შემცირების მოთხოვნა მეტად მართებულია.

— ჩვენი ჩემპიონატის მთავარ პრობლემად რა გესახებათ?

— ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომ აქედან წასულები ისევ საქართველოში დავბრუნოთ. მე არ მინახავს ქინქლაძის დარი ნიჭიერი ფეხბურთელი, ის სწორედ საქართველოშია გაზრდილი, მისი თამაშით კი სხვები ხარობენ.

— ახლა ერთი, ჩემი და გულშემატკივართა აზრით, უმთავრეს მომენტზე უნდა შევჩერო თქვენი ყურადღება. დავით ყიფიანი-ფეხბურთელი გულშემატკივარს იმით ახსოვს, რომ თამაშის სადავეების აღება, გუნდის გაძღოლა და საგოლე პასების მიცემა შეეძლო. მწვრთნელ ყიფიანზე კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მის გუნდში ასეთი ფეხბურთელები არ არიან. ცაავა, ანჩაბაძე, ლევან ყიფიანი, ხორხელი, გამცემლიძე, დათო მუჯირი. ამათი თამაში ბევრჯერ მინახავს და ვფიქრობ, სწორედ ამ სტილის ფეხბურთელები არიან. კარგად გამიგეთ, ფეხბურთელ დავით ყიფიანს არ ვადარებ, ამბლუას ვგულისხმობ...

— მართალი ბრძანდებით, თქვენს მიერ ჩამოთვლილ ყველა ფეხბურთელს აქვს ამის მონაცემები, მაგრამ ანჩაბაძეს უმძიმესი ტრავმა გადაიტანა, დავზოგეთ, ექვსი თვე არ მინდოდა ძიმედ დამეტვირთა, ლევან ყიფიანი ტრავმებმა დატანჯა და ერთხელაც ვერ გამოვიდა მინდორზე, მუჯირი ახლაგაზრდაა და ბოლო მატჩებში, თუ მიაქცევთ ყურადღება, ხშირად ვთამაშებთ. რაც შეეხება გამცემლიძეს და ხორხელს, ისინი „დინამოში“ წელს მოვიდნენ, შეიძლება და გეთანხმებით კიდეც, რომ იმ გუნდებში, სადაც თამაშობდნენ, ჰქონდათ თამაშის გაძღოლის უნარი, მაგრამ „ურია“ და „კახეთი“ ერთია, „დინამო“ — სხვა. „დინამოში“ ლიდერად ყოფნა კი, ხომ იცით, იოლი არაა. აქ ცოტა სხვა მოთხოვნებია. ..

— გრიგოლ ცაავა?

— მასთან ამჟამინდელ „დინამოში“ ყველაზე მეტი მაკავშირებს. ჩვენი ურთიერთობა სცილდება კიდეც მწვრთნელისას და მოთამაშისას. დღეს ეს შემიძლია გითხრათ — ცაავა ამჟამად ძირითად შემადგენლობასთან აღარ ვარჯიშობს.

— „ბათუმთან“ შეხვედრისას გუნდი ზურაბ მაისურაძემ გამოიყვანა. თბილისში კი, ხომ იცით, ჭორი უმალ ვრცელდება...

— სამი დღე სიცხიანი ვიწექი, თამაშის დღეს 40 გრადუსი მქონდა, მაგრამ თამაშის წინ მაინც დავარიგე ბიჭები. სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ იმ დღეს სტადიონზე რომ ყყოფილიყავი, უეჭველად მოიგებდით...

— ჩვენი ინტერვიუ პირველ წრეს ეხება, ის კი „ბოტევთან“ მარცხით დაიწყო...

— გუნდი აშკარად შეუთამაშებელი იყო. თანაც გამთამაშებლის პოზიციაზე ჯამარაული და გია კილასონია გვეგულებოდა. თამაშიც ამაზე გვქონდა აწყობილი, „ბოტევთან“ კი არც ერთი იყო და არც მეორე. მერე, ადრეც ვთქვი, ამ თავდასხმით ევროპაში არც მოგვატრიალებენ-მეოქი. ასეც მოხდა. გახსოვთ, „დინამომ“ რა შემადგენლობით წააგო „ტირილთან“ 1:5? სხვა არავინ მინდა, „ბოტევთან“ მხოლოდ შოთა არველაძე რომ მყოლოდა, ოთხი-ხუთი საგოლე მომენტიდან ერთი-ორს ხომ უეჭველად გოლად აქცევდა...

— ყიზილაშვილი დაიმატეთ, ეს კი, დამეთანხმებით, სერიოზული ძალაა...

— დათო ბაშვობიდან ვიცნობ და გეტყვით — იმ საუკეთესო თამაშებშიც კი, თქვენ რომ გახსოვთ, ყიზილაშვილი თავის შესაძლებლობას მხოლოდ 60 პროცენტით თუ ავლენდა. ყიზილაშვილი პოტენციით საქართველოს საუკეთესო ფორვარდთა შორისაა. იგი ჩვენს თავდასხმას ძალზე გაძლიერებს, თანაც სასიკეთოდ იმოქმედებს იაშვილზე, დემეტრაძეზე, ხოშერიაზე, რაკიღა კონკურენციას ჯერ არავისთვის უვნია.

— იაშვილი ახსენეთ, სეზონის დასაწყისში იგი იშვიათად გამოგყავდათ. მერე და მერე, შანსი მიეცით თუ არა, თამაშებიც კი მოიგო...

— ესეც კონკურენციის დამსახურებაა. იაშვილს ველარ იცნობთ, ისე მოინდომა, წვრთნის მერე რჩებოდა და კარგა ხანს ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. ახლა „დინამოში“ ყველა ადგილზე კონკურენციაა, ამან უკვე გაამართლა და მომავალში უფრო გაამართლებს. „დინამო-2“-ს შექმნამაც ზუსტად ის შედეგი გამოიღო, მე რომ ვფიქრობთ, ეს გუნდი ადრინდელი დუბლის პრინციპით შეიბმნა.

— „დინამოში“ ორმოცზე მეტი ფეხბურთელი ირიცხება. ხომ არ გაგიგრძელდათ გუნდის შეთამაშებისა და ფეხბურთელთა შერჩევის დრო?

— მე ანდრო ჟორდანია არა ვარ, ოთხჯერ მაინც უნდა ვნახო ფეხბურთელი, რომ მის ავ-კარგზე ვიმსჯელო. ბატონი ანდრო კი ერთხელ შეხედავდა და რასაც იტყოდა, წყალი არ გაუვიდოდა.

— გუნდში ახალგაზრდებიც შევნიშნე. გიშო ჭელაძე მოგყავთ გუნდში?

— მისი თამაშები რომ ვნახე, შევამჩნიე, რომ შეუძლია „დინამოში“ თამაში, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ვფიქრობ, საბოლოოდ ხელიდან არ გავუშვებთ.

— მამუკა ჯიქიას შესახებ რას გვეტყოდით?

— თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ გადავწყვეტთ მის საკითხს. თუ მივიჩნევთ, რომ იგი „დინამოს“ სჭირდება, ყიზილაშვილისა არ იყოს, საქმეს შეეუდგებით.

— როინ კერძევაძე კვიპროსში მეტოქეებს მარტო ეთამაშებოდა ხოლმე და ლომივით იბრძოდა. თქვენ კი იგი ლიბეროდ ათამაშეთ. ალბათ რაიმე ექსპერიმენტი ჩაატარეთ...

— რა თქმა უნდა. კერძევაძესაც ბავშვობიდან ვიცნობ. როინი უნივერსალური ფეხბურთელია. ხომ შეიძლება შეცვლები გაკეთებული იყოს და ლიბერო დაშავდეს ან გაძევონ? ხომ უნდა იყოს გუნდში ფეხბურთელი, რომელიც ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას იტვირთებს?

— მაინც მინდა გამთამაშებლის საკითხს დავუბრუნდეთ... ვიზილავთ მეორე წრეში ამ ფუნქციის კლასიკური შემსრულებელს?

— კლასიკურზე რა მოგახსენოთ. დღეს ფეხბურთი ძალზე განვითარდა, ძნელია ყველაფრის ერთ კაცზე აკება. ვთქვათ, ტრავმა მიიღო? ამიტომ მეტსაც ვეტყვით, ამ ფუნქციის არა თუ ერთი, რამდენიმე ფეხბურთელი მინდა მყავდეს. აიღეთ დორტმუნდის „ბორუსია“, სხვა დიდი გუნდები. თამაშის გაძღოლა ერთს კი არა, რამდენიმე ფეხბურთელს უნდა შეეძლოს, მითუმეტეს ნახევარდაცვაში. ასეც იქნება „დინამოში“, ყოველ შემთხვევაში, ამის ძიებაში ვართ.

— შეკრება ყველაზე ადრე, 18 დეკემბერს დაიწყეთ. კიდევ რამდენ ეტაპს გეგმავთ მეორე წრემდე?

— ეს არც იყო პირველი ეტაპი. 18 დეკემბერს იმიტომ შევიკრიბეთ, რომ კიევის ტურნირისთვის ვემზადებოდით, მაგრამ რაკიღა ჩაშალა, მოთამაშეებს უკან ხომ არ გავუშვებდით. პირველი ეტაპი თურქეთში იქნება 7-დან 21 იანვრამდე, მერე ორ დღეს დავასვენებ ბიჭებს და მოსკოვის ტურნირზე წავალთ. არადა, მართალი გითხრათ, მეშინია დარბაზში ფეხბურთის თამაშის. ბევრმა ნიჭიერმა მოთამაშემ დაამთავრა კარიერა მოსკოვის ხელოვნურსაფარიან მოედანზე, მაგრამ რაკიღა მეტად პრესტიჟული ტურნირია, უნდა ვითამაშოთ. ესეც მეორე ეტაპი. მესამე ეტაპს კი ალბათ ისევ უცხოეთში გავიკლიან. სად — ჯერ არ გადაწყვეტილა. უცხოურ ტურნირებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, მითუმეტეს დღევანდელი „დინამოსთვის“.

— კიდევ ერთ ჩემს აზრს მოგახსენებთ ინტერვიუს ბოლოს. „დინამომ“ პირველ წრეში თავისი სახე დაკარგა და მხოლოდ „სამტრედიასთან“ ბოლო მატჩში მიანიჭა გულშემატკივრებს ნაღდი სიხარული. ეს ის თამაში იყო, რომელსაც ყველა ელოდა. მეთანხმებით?

— კატეგორიულად არა! „დინამო“ სახეს არასოდეს დაკარგავს, „დინამო“ არასდროს დაინგრევა! „დინამომ“ შეიძლება თამაში დაკარგოს, სახე კი ყოველთვის ექნება, ისევე, როგორც მადრიდის „რეალს“ და სხვა ავტორიტეტებს. რაც შეეხება იმ თამაშს, გეთანხმებით — „სამტრედიასთან“ საუკეთესოდ ვითამაშეთ, მაგრამ ეს ჯერ ის არ არის, რისკენაც მივდივართ. მეორე წრე დაგარწმუნებთ ამაში...

რაც შეეხება გუნდის თამაშს, ბესკოვმა კარგად თქვა ერთხელ: ჩემმა გუნდმა იპოვა თავისი თამაში და უკვე რამდენიმე თვეა თავის თამაშს თამაშობსო. გუნდის თამაში ასეთია რაღა, ხშირად შეიძლება იპოვო და დაკარგო კიდეც. ასე რომ, მუდამ ძიებაში უნდა იყო. ჩვენც ვეძებთ...

მამუკა კვარაცხელია

დინამო თბილისი

1. კოლხეთი 1:1 (0:1) სტუმრად
2. ეგრისი 3:0 (1:0) შინ
3. ტორპედო 5:1 (0:0) შინ
4. მეტალურგი 2:0 (1:0) სტუმრად
5. დილა 1:0 (0:0) შინ
6. მარგვეთი 0:1 (0:0) სტუმრად
7. ზუგდიდი 5:1 (1:0) სტუმრად
8. შევარდენი 3:0 (1:0) შინ
9. ივერია 1:1 (0:0) სტუმრად
10. კახეთი 7:1 (6:1) შინ
11. გურია 3:0 (1:0) სტუმრად
12. ღურუჯი 11:0 (6:0) შინ
13. სიონი 1:0 (1:0) სტუმრად
14. ბათუმი 1:1 (0:0) შინ
15. სამტრედია 3:1 (1:1) შინ

	თ	მ	ფ	ნ	გ	ქ
სულ	15	11	3	1	47-8	36
შინ	8	7	1	0	34-4	22
სტუმრად	7	4	2	1	13-4	14



პირველ წრეში თამაშობდნენ

	თამაში	გოლი	გაფრთხ.
მეკარეები			
ირაკლი ზოიძე	12	-6	-
გელა ჭანტურია	3	-2	-
მცველები			
მამუკა მაჭავარიანი	15	2	-
გივი დიდავა	15	1	2
ლევან კობიაშვილი	14	-	-
კახა კალაძე	13	-	-
ნუგზარ ლობჟანიძე	11	-	1
გია ფირცხალავა	2	-	-
ნახევარმცველები			
კახი გოგიჩაიშვილი	14	11	1
გიორგი კიკნაძე	13	1	1
ლევან ცქიტიშვილი	9	2	-
გოჩა ჯამარაული	7	3	-
გიორგი ანჩაბაძე	5	-	-
დავით მუჯირი	5	1	-
ლევან ხორხელი	5	2	-
პაატა გამცემლიძე	2	1	-
გრიგოლ ცაავა	1	-	-
თავდამსხმელები			
როინ კერძევაძე	13	6	-
ალექსანდრე იაშვილი	12	10	1
გიორგი დემეტრაძე	11	4	-
ლევან ხომერიკი	7	2	1
ჯუბა ჩუბუა	1	1	-
კახი კაჭარავა	1	-	-

FRANCE 98

II ჯგუფი. იტალია, ინგლისი, პოლონეთი, საქართველო, მოლდოვა

ბჭობაი საკ-ვირველი

თუ ინგლისში წარმატებას ვერ მიაღწია, საკი თავის ადგილს ალბათ ტრაპატონის დაუთმობს

ბედნიერი ხალხია იტალიელები. ქვეყნის ჩემპიონატი ისეთი აქვთ, მთელი მსოფლიო უცქერს და ვერ ძღება. წელი ისე არ გავა, სულ მცირე, ერთმა იქაურმა კლუბმა სხვა ქვეყნების ცნობილი გუნდები არ დაიფრინოს და რომელიმე თასს არ დაესაკუთროს. ყოველ შობაზე „ფრანს ფუტბოლი" კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელს ვამოავლენს და თავად ეს საუკეთესო თუ იტალიელი არაა, ათეული ხომ ნამდვილად იტალიელებითაა სავსე. მთელ პლანეტაზე, ვისაც კი ბურთაობის ნიჭი აღმოაჩნდება, ამ ჩქმის ფორმის ქვეყანაზე იწყებს ოცნებას. ფეხბურთი ინდუსტრიად აქვთ ქცეული — ათეულობით მილიონებს აბრუნებენ. ნაკრებია და, სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონი ხომ იყო, ბოლო პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდა და საერთოდაც, ოთხეულს მიღმა, როგორც წესი, არ რჩება ხოლმე. პრობლემებიც ისეთი აქვთ, უმრავლესობას, ნეტავი თქვენ, რომ ათქმევინებს. გეხსომებათ, როგორ უხაროდათ ბულგარელებს, ორი წლის წინ ამერიკაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე მეოთხე ადგილი რომ მოიპოვეს. იტალიელებმა კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, იმ პირველობაზე ფინალი დათმეს (ისიც პენალტებით) და შინ ჩუმად, ოდნავ თავდახრილები დაბრუნდნენ. მსოფლიოს მეორე ადგილი ძალიან დიდი რამ რომ არ იყოს, ალბათ უფრო დაუფარავადაც გამოხატავდნენ უკმაყოფილებას.

მართლაც რომ ნეტავი თქვენ, იტალიელებო! რაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ყველამ კარგად იცის და იმიტომ არ გაგვიმეორებია, საქართველოს ნაკრებს მომავალი მეტოქის შიში რომ ჩავუნერგოთ. უბრალოდ, კიდევ ერთ იტალიურ პრობლემაზე გვსურს საუბარი. საქმე ეხება ნაკრების მწვრთნელს. ხვალ-ზეგ მსოფლიოს ჩემპიონატის, ევროპის მეორე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი დადგინდება და ზუსტად შევიტყობთ, როდის ჩამოვლენ იტალიელები თბილისს ან როდის ეწვევიან ქართველები ჩექმა-ქვეყანას. ეს ნაღდად ასე იქნება, მაგრამ ვინ უხელმძღვანელებს იმ მატჩებში „სკუადრა აძურას", ეს საკითხავია. ისე არ გაგოთ, თითქოს იტალიის ახლანდელ მწვრთნელს არიგო საკის, რომელსაც ოთხ წელიწადში 7 მილიონ დოლარს უხდიან, წყალი ჰქონდეს შეყენებული. თუმცა სინიორ საკის მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავს და ასე მოხდება თუ ისე, კონკრეტული მომენტის ამბავია. მაშ ასე, კიდევ ერთი იტალიური პრობლემა (ერთხელაც, ნეტავი თქვენ, იტალიელებო): საკი ეროვნული გუნდის თავკაცად 1991 წლის ნოემბერში დანიშნეს. მას მერე გუნდმა 44 შეხვედრა ჩაატარა. 29 მოიგო, 9 ფრედ დამთავრა და მხოლოდ 6 წააგო. გაიმარჯვა ორივე, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების შესარჩევ ჯგუფებში. მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი მოიპოვა, ევროპისა კი წლეულს ზაფხულზე გაიმართება. მაშ, რაღა უნდა გინდოდეს კაცისგან, რომლის ხელმძღვანელობითაც შენი ქვეყნის მთავარი გუნდი ასეთ შედეგებს აღწევს? რა და, ტიფოზების დიდ ნაწილს „სკუადრა აძურას" თამაშის სტილი არ მოსწონს! ასეთსავე შედეგებს გუნდი სხვაგვარი თამაშით უნდა აღწევდეს! საკი ზონურ ფეხბურთს თამაშობს, ეროვნული ტრადიცია კი „კატენაჩოს" ითხოვს. საკის მოთამაშეები თავიანთ ზონებს აკონტროლებენ, აი, ტრაპატონი რომ იყოს, კაცი კაცთან, პერსონალურად ითამაშებდა.

ამგვარად, არიგო საკის ძირითადი მეტოქე და ადგილის მოცილეც გამოიკვეთა

ჯოვანი ტრაპატონი

— ჯოვანი ტრაპატონი.

მკითხველმა ამ მწვრთნელზეც ყველაფერი იცის, მაგრამ ერთხელაც გაკბინეთ. ჯოვანი ტრაპატონი თანამედროვეობის ყველაზე წარმატებული იტალიელი მწვრთნელია. მის გუნდებს შვიდი ტიტული აქვთ მოპოვებული. ოთხმოციანი წლებიდან მუშაობდა „იუვენტუსში", „ინტერში", მიუნხენის „ბაიერნში", ახლა კი „კალიარის" უდგას სათავეში. ტრაპატონი საკის ხშირად აკრიტიკებს, თუმცა არც საკის აკლია დამცველები. მის ქომაგთა შორისაა უმთავრესი ფიგურა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანტონიო მატარრეზე. მატარეზეს და მისი თანამოაზრეების თქმით, არიგო საკი ის მეხია, რომელმაც მოსწყვიტა იტალიური ყაიდა ნათელი, შემტევი სტილით შეცვალა.

კრიტიკოსი ჟურნალისტები და სხვა ტრაპატონისტ-ტრადიციონალისტები მყისვე სტატისტიკას ჩაუსხდნენ. მათ ამოქექეს და გააანალიზეს 1987-91 წლები. ეს ის პერიოდია, საკი „მილანს" რომ წვრთნიდა, ტრაპატონი კი „ინტერს". გაირკვა, რომ ამ ხანში ტრაპატონის „ინტერმა" მეტი გოლი გაიტანა, ვიდრე საკის „მილანმა" და, ასე განსაჯეთ, მეტიც გაუშვა. ორივემ თითოჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. საკიმ 88-ში, ტრაპატონიმ 89-ში.

ტრაპატონიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „საკისეული იტალიის ნაკრები კარგ გუნდს მხოლოდ ხუთ თამაშში ჰგავდა, მისი „მილანი" კი ოთხ ჩემპიონატში სულ ერთხელ გახდა ჩემპიონი. მას უბრალოდ კარგ პროპაგანდას უწევდნენ, თანაც გუნდში ვარსკვლავები ჰყავდა. აბა ერთი იმ „მილანისთვის" ჰოლანდიური ტრიო (ვან ბასტენი, გულიტი, რაიკარდი) და იტალიის ნაკრების წევრები წაგერთმიათ, ნახავდით, რომ სხვებთან მისი ტაქტიკა გამოუსადეგი იქნებოდა. იგივე ტაქტიკური ვარიანტი თერთმეტ ჩვეულებრივ ფეხბურთელს აუხსენით და მოედანზე თერთმეტ დაბნეულსა და უვიცს იხილავთ. ის აზრი, რომ ზონური დაცვა სპექტაკლს ნიშნავს, საშინელი შეცდომაა. ამით ტელეეთერს მიეჯაჭვული გულშემატკივრები მოატყუეს, რომლებმაც ეს საკენკი მართლაც აკენკეს".

ოპონენტის ამ ნათქვამს არიგო საკიმ ასე უპასუხა: „ტრაპატონის დიდხანს წარმატებით სვლას ვუსურვებ". არადა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შინ, პალერმოში ხორვატიასთან დამარცხების (1:2) შემდეგ ბევრნი მწვრთნელის გადადგომას ითხოვდნენ

„ახლა ძლიერ კმაყოფილი ვარ, რადგან ვიცი, რომ კარგი გუნდი მყავს — თქვა საკიმ ლიტვასთან (4:0) გამარჯვების შემდეგ — კვლავ ჯეროვანი ძალა მოვიკრიბეთ. თავიდან, საწყის სამ შეხვედრაში ოთხი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ შემდეგ შვიდი თამაშიდან ექვსში გავიმარჯვეთ. ის ერთიც, ხორვატიაში ფრედ დავამთავრეთ. მართალი გითხრათ, იმ ხანად არ მეგონა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო პერიოდი ასე ძნელი იქნებოდა. ტრავმებისა თუ ასაკის გამო მრავალი მოთამაშის შეცვლა მოგვიწია. პალერმოში ხორვატიასთან მარცხი ჩემი ცხოვრების უარეს მომენტთაგანი იყო. მე რომ სხვა ხასიათი მქონდეს, ნამდვილად იქვე გადავდგებოდი. მას მერე კი საქმეები გამოსწორდა. ახლა ალესანდრო დელ პიერო გვყავს, რომელიც ადრე არ გვყავდა. დემეტრიო ალბერტინი კარგი, სასარგებლო მოთამაშიდან ნამდვილ გამთამაშებლად იქცა"...

საკის ერაში, ანუ 44 მატჩში, ნაკრების მაისური 70-ზე მეტმა ფეხბურთელმა მოირგო. მათგან 48 პირველად თამაშობდა „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში, საერთოდ კი ნაკრებში მოწვევა 82-მა მოთამაშემ მიიღო. მწვრთნელი ახლაც ექსპერიმენტატორად რჩება და აცხადებს, რომ მიუხედავად გუნდის დაკომპლექტებისა, მაინც განაგრძობს ახალთა შემოწმებას: „ვაღიარებ, რომ გუნდი ჩამოყალიბებულია და ფეხბურთელებს ინგლისში წაყვანას ლამის უეჭველად დავპირდი, მაგრამ ერთი-ორ ახალბედას მაინც გავსინჯავ".

საკის დღევანდელი გუნდი ასეთია: კარში ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), შუა დაცვაში ჩირო ფერარა (იუვენტუსი) და ლუიჯი აპოლონი (პარმა), მარცხენა მცველი პაოლო მალდინი (მილანი), მარჯვენა — ანტონიო ბენარივო (პარმა); ნახევარდაცვის შუაში დემეტრიო ალბერტინი (მილანი) და რობერტო დი მატეო (ლაციო), ფლანგებზე დინო ბაჯო (პარმა), სტეფანო ერანიო (მილანი), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი); თავდასხმაში ფაბრიციო რავანელი და ალესანდრო დელ პიერო (ორივე იუვენტუსი), ჯანფრანკო ძოლა (პარმა), ჯუზეპე სინიორი (ლაციო) და რობერტო ბაჯო (მილანი).

როგორც ხედავთ, და ბუნებრივიცაა, მწვრთნელის რჩეულნი ოთხი გუნდიდან „მილანიდან", „იუვენტუსიდან", „პარმადან" და „ლაციოდან" არიან.

პაპუნა კედია

საფრანგეთი

გამოტოვებული მატჩი: მონპელიე — მეცი 1:2

23-ე ტური. მეცი — ლე ავრი 2:1; რენი — სტრასბური 0:0; ბასტია — სენტ ეტიენი 0:0; ბორდო — გინგამი 2:0; პსჟ — გენიონი 1:1; მარტიგი — მონაკო 0:4; ლილი — კანი 0:2; ოსერი — მონპელიე 1:0; ლიონი — ლანსი 0:0. ნიცა — ნანტი წუხელ გაიმართა

პსჟ	23	13	8	2	45:18	47
ლანსი	23	10	11	2	26:14	41
მეცი	23	11	8	4	22:15	41
ოსერი	23	12	3	8	39:23	39
მონაკო	23	10	6	7	35:27	36
ნანტი	22	9	9	4	26:22	36
ბასტია	23	10	5	8	33:29	35
სტრასბური	23	8	9	6	31:22	33
გინგამი	23	8	9	6	17:17	33
რენი	23	8	8	7	25:26	32
მონპელიე	23	8	7	8	30:29	31
ნიცა	22	8	4	10	25:26	28
ლე ავრი	23	7	6	10	20:30	27
ლიონი	23	5	11	7	23:26	26
სენტ ეტიენი	23	5	10	8	27:35	25
ბორდო	23	7	4	12	24:32	25
კანი	23	6	5	12	26:36	23
ლილი	23	4	8	11	16:31	20
გენიონი	23	3	10	10	15:29	19
მარტიგი	23	5	3	15	18:36	18

პორტუგალია

მე-17 ტური. სპორტინგი — ლეია 2:0, ამადორა — ბოავიშტა 0:0, მარიტიმუ — ბენფიკა 2:2, ჟილ ვისენტე — მავეში 2:0, ბელენენსესი — პორტუ 1:1, გიმარაეში — ბრაგა 1:1, უნიაუ ლეირია — ფელგეირაში 0:0, ტირსენსე — კამპომაიორენსე 2:0, სალგეირუში — ფარენსე 1:0

პრუიფის ჯერიც მოსულა?

ოთხშაბათს ესპანეთში თასის მერვედფინალის პირველი მატჩები გაიმართა. ჩემპიონატის ლიდერთა თამაშს ამ დღეს წარმატებული არ ეთქმის: მადრიდის „ატლეტიკომ" შინ ვერ მოუგო „ბეტისს" — 1:1. ასევე ფრედ, ოღონდ სტუმრად ითამაშა „ბარსელონამ" მეორელიგელ ალიკანტეს „ერკულესთან" (0:0), „კომპოსტელამ" კი სევილიაში 1:2 წააგო.

უფრო საინტერესო „ბარსელონას" უკმაყოფილო პრეზიდენტის ნუნიესის განცხადება იყო. ამას ჩემპიონატის ლიდერ „ატლეტიკოსთან" თავისი გუნდის ათქულიანი ჩამორჩენა, ეტყობა, ყელში ამოუვიდა და განაცხადა: სავსებით მზადვარ უსერიოზულესი გადწყვეტილების მისაღებად. პრესამ ნუნიესის ნათქვამი უმალ გაშიფრა: საქმე უთუოდ კრუიფის გადაყენებას უნდა შეეხებოდესო.

თასის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ნუმასია" — ხიხონის „სპორტინგი" 2:1, „დეპორტივო" — „ტენერიფე" 1:1, ბილბაოს „ატლეტიკი" — „სარაგოსა" 2:3, „სელტა" — „ვალენსია" 1:1. „ესპანიოლი" — „რეალის" მატჩი გუშინ შედგა. განმეორებითი მატჩები 17-18 იანვარს გაიმართება.

ინგლისში კი ასოციაციისა და ლიგის (კოკა-კოლას) თასებზე მხოლოდ ერთრაუნდიანი ეტაპებია. წინა „სარბიელში" გაუწყეთ ასოციაციის თასის მესამე წრის შედეგები, ოთხშაბათს კი კოკა-კოლას თასის სამი ნახევარფინალისტი გაირკვა: „ლიდსმა" სძლია „რედინგი" 2:1, „ასტონ ვილამ" მოუგო „უულვერჰემპტონს" 1:0, „არსენალმა" კი გათამაშებიდან ჩემპიონატის ლიდერი „ნიუკასლი" დაიფრინა 2:0. ორივე გოლი იან რაიტმა გაიტანა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო: ინგლისისთვის უჩვეულოდ საზიზღრად გაისარჯა შეხვედრის არბიტრი, ვინც თამაშის სადავეები თავიდანვე ხელიდან გაუშვა და ამის გამო მოედანზე ხშირი იყო სიტყვიერი თუ ფიზიკური შეხლა-შემოხლა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მსაჯს რამდენიმე ფეხბურთელი უნდა გაეძევებინა, მაგრამ მან მხოლოდ სტუმართა ფრანგი ჟინლა დაიბრიყვა, ხოლო ამის გაგდებისას კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა: მოედნის კიდეზე ერთმანეთს „არსენალის" მწვრთნელი ბრუს როიქი და „ნიუკასლის" მწვრთნელის კევინ კიგანის თანაშემწე ტერი მაკდერმოტი წაეკიდნენ. მოკლედ, მატჩი, რომელიც პირდაპირ ტელეეთერში მოელმა ბრიტანეთმა იხილა, ასოციაციის მსჯელობის საგანი გახდება. ამასობაში ამ ორგანიზაციამ ნახევარფინალის წილისყრა მოაწყო: „არსენალი" „ასტონ ვილას" შეხვდება, „ლიდსი" კი „ნორვიჩსა" და „ბირმინგემ სიტის" შორის გამარჯვებულს (ამ [illegible]ნდების მატჩი ოთხშაბათს ნორვიჩში [illegible] დამთავრდა)

ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გინვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:

36-00-94,
36-65-00,
93-36-71

ენგელსს არავინ ჰკითხავს...

გერმანიის ჩემპიონატი 10 თებერვალს განახლდება, მაგრამ ბოსმანის საქმის გამო შეწუხებული 36 კლუბის პრეზიდენტი გასულ უქმეებზე ფრანკფურტში შეიკრიბა, რათა ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შესახებ ემსჯელა. „ჩვენ მიმდინარე სეზონს იმავე წესებით ჩავამთავრებთ, როგორითაც დავიწყეთ. სამ უცხოელ ფეხბურთელზე მეტს მოედანზე არ გამოვუშვებთ" — აი, ასეთი განცხადება გაკეთდა შეხვედრის ბოლოს და იმედია, ყველა კლუბი შეასრულებს დანაპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია. თვით „კოლონის" პრეზიდენტი კლაუს ჰარტმანიც კი დეთანხმა ამ განცხადებას. არადა, ერთი კვირის წინ ამ კლუბის მწვრთნელმა შტეფან ენგელსმა, 10 თებერვალსვე მოედანზე ხუთ უცხოელს გამოვიყვანო, ბრძანა. „რასაკვირველია, ენგელსი შეასრულებს ფრანკფურტის გადაწყვეტილებას. ის ხომ ჩემი ხელქვეითია და რასაც ვეტყვი, იმას გააკეთებს" — განაცხადა ჰარტმანმა. მოკლედ, ოერმე გერმანიაში სიტყვა დოკუმენტზე არანაკლებ ფასობს. კარგი იქნება, თუ ევროსასამართლოს აბსურდულ გადაწყვეტილებას სხვა ლიგებიც ასე აუზეიდრდებიან.

ხვალ სამხრეთ აფრიკაში კონტინენტის ჩემპიონატი იწყება

გენერლები ყოველთვის მართლები არიან!

ხვალ იოჰანესბურგში, სამხრეთი აფრიკა — კამერუნის მატჩით იწყება აფრიკის მორიგი ჩემპიონატის ფინალური სტადია, რომელსაც მთელი მსოფლიოს გულისყური უნდა მიეპყრო თუნდაც იმიტომ, რომ პირველად შეკრებდა 16 მოწინავე ქვეყანას.

ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ნიგერიის სამხედრო რეჟიმმა კრიტიკოს ქვეყანაში სათამაშოდაც არ გაუშვა გუნდი. ოთხშაბათის ერთი საათი გასტანა ნაკრების უფროსი წევრების აუდიენციამ ქვეყნის მმართველ გენერალ საო აბაჩასთან, რის შედეგადაც გუნდის კაპიტანი ოგუსტინ ეგუავონი ხვედრს შეურიეს და გენერალის განაჩენი მოიწონა. მერე იყო, აბაჩამ ფეხბურთის ქომაგებსაც რომ მიმართა, სხვაფრივ ვერ მოვიქცეოდითო.

ნიგერიას ამ ბოიკოტისათვის აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციისაგან (კაფ) ექვსწლიანი დისკვალიფიკაცია მოელის. კაფის მედიან-ატაშე ვიკენ დიჯმაჯანის ცნობით, ფიფა-ს პირადი საქმე ყოფილა, ამ სასჯელს მსოფლიო პირველობაზეც თუ განავრცობს.

ფიფა-ს ხელმძღვანელობაც ოთხშაბათს ნავიდა იოჰანესბურგში. აეროპორტშივე აველანჟმა, ვისაც [illegible]ერს უმშვენებდა იუპანსონი, მედიას განუცხადა, ფიფა-ს აღმასკომმა უკვე გადაწვიტა, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს აფრიკამ რომ უმასპინძლოსო. ამაზე იუპანსონს არაფერი უთქვამს და აველანჟსაც ერთობ მეგობრულად ეპყრობოდა.

ამასობაში საქმე ცუდად წასვლიათ კამერუნელებს, რომლებსაც თვითმფრინავის ბილეთი ვერ უშოვიათ. არადა, ეს გუნდი ფინალში სასწაულით მოხვდა — ლესოტო რომ გამოაკლდა მის ჯგუფს, კამერუნს მასთან წაგება გაუუქმდა, კონკურენტებს — ზიმბაბვესა და მალავის კი მოგებები. მერე იყო და ხელისუფლება ჩაერია საფეხბურთო საქმეებში, რის გამოც „მოუთვინიერებელ ლომის“ ქვეყანა კინაღამ მოიკვეთა.

მასპინძლები ფავორიტები არიან. გუნდის კაპიტანია „კაიზერ ჩიფსის“ მცველი ნილ თივი, გამოცდილ მეკარე სტივ კროულის კი შეცვლის ჯონ ტალალე.



რაშიდი იეკინი და მისი გუნდელები ამჭერად პოლიტიკურ ხლართებში გაებნენ

არც ზამბია და ალჟირი უნდა იყვნენ ჯაბანნი. არაბები ზედიზედ მეცხრედ გადიან ფინალურ სტადიაზე, ხუთჯერ კი ნაცვარფინალამდეც მიეღწევიათ. ფედერაცია მწვრთნელ ალი ფერლანის ახლაც ივივესა სთხოვს, ეს კი ფრთხილობს. რაც შეეხება ზამბიას, მას აქეთ, რაც ბრიტანელმა იან პორტერფილდმა ავიაკატასტროფაში დაღუპული გუნდის ნაცვლად ახალი კოლექტივი შეკრა და აფრიკის წინა პირველობის ფინალში გაიყვანა, ამ ქვეყანაშიც აირია ბევრი რამ. შარშან ახალ მწვრთნელს, დანიელ რ. პოლსენს მავანი მოთამაშე შემადგენლობიდან დაუთხოვია, მაგრამ საქმეში მყის ხელისუფლება ჩარეულა და მწვრთნელი მკაცრად დაუსჯიათ.

განრიგი

„ა“ ჯგუფი

ანგოლა, კამერუნი, ეგვიპტე, სამხრეთი აფრიკა

13.01 სამხრეთი აფრიკა — კამერუნი
15.01 ეგვიპტე — ანგოლა
18.01 კამერუნი — ეგვიპტე
20.01 სამხრეთი აფრიკა — ანგოლა
24.01 სამხრეთი აფრიკა — ეგვიპტე
კამერუნი — ანგოლა

„ბ“ ჯგუფი

ალჟირი, ბურკინა ფასო, სიერა ლეონე, ზამბია

14.01 ზამბია — ალჟირი
15.01 სიერა ლეონე — ბურკინა ფასო
18.01 ალჟირი — სიერა ლეონე
20.01 ზამბია — ბურკინა ფასო
24.01 ზამბია — სიერა ლეონე
ალჟირი — ბურკინა ფასო

„გ“ ჯგუფი

გაბონი, ლიბერია, ზაირი

16.01 გაბონი — ლიბერია
19.01 ზაირი — გაბონი
25.01 ზაირი — ლიბერია

„დ“ ჯგუფი

განა, სპილოს ძვლის ნაპირი, მოზამბიკი, ტუნისი

14.01 სპილოს ძვლის ნაპირი — განა
16.01 ტუნისი — მოზამბიკი
19.01 განა — ტუნისი
21.01 სპილოს ძვლ. ნაპირი — მოზამბიკი
25.01 სპილოს ძვლ. ნაპირი — ტუნისი
განა — მოზამბიკი

მაგ თქვენ სამეფო ტახტს ისევ ბურთი მირჩევნია

უცნაური ხალხია ეს ფეხბურთელები! თუ აიკვიატეს, ბურთის გორება მინდაო, მერე, მეფობაც რომ შეთავაზო, ცივ უარს გტკიცავენ. ეს რომ მართლაც ასეა, ამის დასტურად ინგლისის პრემიერ ლიგაში მოთამაშე განელი ნიი ლემპტი გამოდგება.

ნიის (ნიი განურად მეფეს ნიშნავს) მამის გარდაცვალების შემდეგ განა უმონარქოდ დარჩა. ოჯახმა თხოვნამუდარა შეუთვალა უფლისწულს — დაბრუნდი სამშობლოში და უმეფე სამ მილიონ თანამემამულესო. ლემფტიმ პატიჟი და პატივი შორს დაიჭირა, ზემი ოცნება ინგლისში ბურთის თამაში იყო, თავს შესანიშნავად ვგრძნობ, ეგა კვირაში სამი მატჩი ცოტა მღლის ხოლმეო.

შოედანზე პატრონ-ყმური ურთიერთობა რომ არ არსებობს, ეს „ლიდს იუნაიტედისა“ და „ქოვენთრის“ მატჩმაც დაგვანახა. ლიდსელმა ენტონი იებოამ, ასევე განელმა, არად ჩაგდო ტახტის მემკვიდრის წყენა და მისი გუნდი 3:1 დამარცხა.

აფრიკულ ბურთაობას ბევრი მიაჩერდება!

1970 წლამდე აფრიკელები მხოლოდ ერთხელ გამოჩნდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე — 1934 წელს, მსოფლიოს II ჩემპიონატში ეგვიპტის ნაკრებიც მონწილეობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ფეხბურთის ისტორიკოსებსა და სტატისტიკოსებს თუ ახსოვთ. 1970 წლიდან კი, მარაკელებმა მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატში რომ ითამაშეს, ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ფეხბურთის ვინმე გამორჩეული სპეციალისტი და დიდი თავდაჯერებით და გულთმისნის ამბიციით მთელ ევროპასა და სამხრეთ ამერიკას აშფოთებს, აი, ნახეთ 4, 8 (ან 10) წელიწადში რომელიმე აფრიკული ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო, ფეხბურთის მომავალი აფრიკისაო. მას შემდეგ გადის წლები — ოთხიც, რვაც, თორმეტიც. მაგრამ აფრიკული ფეხბურთის ყველაზე დიდი წარმატება ჯერჯერობით კამერუნის ნაკრების მეოთხედფინალში მოხვედრაა 1990 წლის ჩემპიონატზე. მე მაინც მგონია, რომ აფრიკული ნაკრების წარმატება მსოფლიოს ჩემპიონატზე შეუძლებელი თუ არა, ჯერ კიდევ ძალიან შორსაა, რადგან ფეხბურთს, სირბილისგან განსხვავებით, მოქნილობის გარდა კიდევ ბევრი რამ სჭირდება (აფრიკელები კი არა, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ 6 გუნდი იყო ჩემპიონი და ევროპის მრავალი საფეხბურთო ქვეყანა ჯერაც უმტიტულოა), თუმცა აფრიკული ფეხბურთის პროგრესი რომ აშკარაა, ამაში დაეჭვებაც კი უაზრობაა.

კოლონიურ აფრიკაში ფეხბურთი ევროპელებმა შეიტანეს. აფრიკულ ქვეყნებშიც ისეთ ფეხბურთს თამაშობდნენ, ვისი კოლონიაც იყვნენ და ნელ-ნელა აფრიკაშიც გამოჩნდნენ ვარსკვლავები, მაგრამ მაღალ კლასს მხოლოდ იმ ფეხბურთელებმა მიაღწიეს, რომლებიც ევროპაში თამაშობდნენ. პირველი ასეთი ვარსკვლავები საფრანგეთში გამოჩნდნენ. მარაკელი ლარბი ბენ-ბარეკი ჯერ საფრანგეთის კლუბებში, შემდეგ კი მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობდა. ბენ-ბარეკს ლამაზი თამაშისთვის „შავი ბრილიანტი“ შეარქვეს. ასევე სახელი გაითქვა „სენტ-ეტიენის“ მოთამაშემ ალჟირელმა რაშიდ მეკლუფიმ, რომელიც იმხანად ერთ-ერთი საუკეთესო იყო საფრანგეთის ლიგაში და მეტოქეობას უწევდა ცნობილ ფრანგ ფორვარდებს, ფონტენს, კოპას, ვენსანს და სხვებს. შემდეგ ევროპა ერთმა აფრიკელმა შესძრა. მაგრამ იგი უკვე აღარ იყო ე.წ. წმინდა წყლის აფრიკელი. პორტუგალიელებმა ჭკუა იხმარეს და თავიანთი კოლონიის ნიჭიერი მობურთალი ბიჭები პორტუგალიელებად აქციეს. ასე მოვიდა „بენფიკაში“, პორტუგალიის ნაკრებში და ევროპულ ასპარეზზე მოზამბიკელი ეუსებიო, რომელიც დიდ ხანს ითვლებოდა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდად. მის გვერდით იყო მისივე თვისტომი კოლუნა, რომელიც პორტუგალიის ნაკრებისა და „ბენფიკას“ მთავარი დირიჟორი იყო, მაგრამ ესენი, ისევე როგორც შემდგომ ტრეზორი, ბოლი. ანგოლამა, ტიგანა უკვე აღარც შეიძლება აფრიკული ფეხბურთის წარმომადგენლებად ჩაითვალონ, რადგან სამშობლო ქვეყნის ნაკრების ღირსებას არ იცავდნენ. კიდევ ერთ ევროპაში ცნობილ აფრიკელ ვარსკვლავს ნუ გამოვტოვებთ. მალელი სალიფ კეიტაც „სენტ-ეტიენში“ თამაშობდა და 1971 წელს „ვერცხლის ბუცეც“ მოიპოვა ევროპის მომბარდირებთან ბრძოლაში. მაგრამ ეს კანტი-კუნტი ვარსკვლავები, აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან მაინც არ იძლეოდა იმის უფლებას, რომ აფრიკული ფეხბურთის სიძლიერეზე გველაპარაკა. ისინი ისევ ევროპულ გუნდებში ხდებოდნენ მაღალი კლასის მოთამაშენი, საკუთრივ აფრიკაში კი... რამდენი გვახსოვს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დანაქადნი — ჩამოვა ალჟირელი ლაკდარ ბელუმი ან მარაკელი მოპამედ ტიმუმი და ბდღვირს ადენს იქურობასო. მაგრამ ნერას უკაცრავად. მათი თამაში ბევრს არავის დახსომებია. თუმცა ბელუმიმ და მისმა პარტნიორებმა მაკერმა, მერზეკანმა, ასადმა და სხვებმა თვით გერმანია დამარცხეს 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მაგრამ მალე გერმანელებმა და ავსტრიელებმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს და ალჟირი მოდევნო ეტაპზეც ვერ გავიდა. მაჯერმა ერთხელ კიდევ გამწარა გერმანელები. ჭუსლით შეგდებულმა მისმა ულამაზესმა გოლმა „პორტუს“ მიუნპენის „ბაიერნთან“ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი მოაგებინა.1986 წელს მოროკოს ნაკრებმა უკვე შეძლო ჯგუფიდან გასვლა ინგლისის, პოლონეთისა და პორტუგალიის ძლიერ გუნდებთან ბრძოლაში, მაგრამ მეტი ვერაფერი. და აი, 1990 წელი, როდესაც კამერუნი აღწევს მეოთხეფინალს და იქ დაძაბულ ბრძოლაში მარცხდება ინგლისთან. მოკლედ, პროგრესი აშკარაა. მაგრამ ეს წარმატებები კლასის დადასტურებად მაინც არ იქცა. ერთი-ორი თამაშის მოგება გიჟური სირბილით და ენთუზიაზმით, მერე დამარცხება ჭკვიან მეტოქეებთან — ივივე კამერუნის ნაკრებში ალბათ მაინც მხოლოდ ერთი მაღალის კლასის მოთამაშე მილა იყო. (სხვათა შორის ჩვენში ზოგმა მილა რომ მხოლოდ 38 წლისა აღმოაჩინა, იგი უკვე დიდი ხანი ითვლებოდა აფრიკის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად და თბილისის „დინამოს“ ორი გოლიც კი გაუტანა „ბასტიას“ შემადგენლობაში, „დინამომ“ რომ მოუგო 1:1, 3:1). და თუმცა ბოლო ჩემპიონატზე ასევე დემარცია ნიგერიის ნაკრებსაც, რომელშიც ძალზე ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგრამ ჭკუით მოუგო იტალიის ნაკრებმა.



ზამბიელი მაკვაზა და სამხრეთაფრიკელი კონფელა

ამდენი ძლიერი აფრიკელი ფეხბურთელი, რომლებიც ევროპაში თამაშობენ ალბათ. არასოდეს ყოფილა: ჟორჟ ვეა (ლიბერია), ენტონი იებოა, აბედი პელე (განა) ამუნიკე, ამოკაში, ოლისე, ფინიდი. კანუ, იეკინი, ოკოჩა, იკპება (ნიგერია) ნ დორამი (ჩადი) რამზი (ეგვიპტე) და სხვები. ამ ჩამონთვალიდანაც ჩანს, რომ თუ ადრე აქა-იქ გამოჩნდებოდნენ კარგი ფეხბურთელები, ახლა უკვე ერთ ქვეყანას რამდენიმე ვარსკვლავი ჰყავდა. (ეს განსაკუთრებით ნიგერიაზე ითქმის). ამიტომაც, ალბათ, ევროპელი სელექციონერებისთვის აფრიკის ჩემპიონატი უდიდესი მნიშვნელობის იქნება. შემდგომ ევროპაში ათამაშებული აფრიკელები კი დიდ ძალას შემატებენ საკუთარი ქვეყნის ნაკრებებს და თუმცა ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აფრიკული ქვეყნის ნაკრები უახლოეს ათწლეულში მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, მათთან თამაში ბევრი ევროპული და ამერიკული გუნდებისთვის საინტერესო და იქნებ საბედისწეროც გამოდგეს. მოკლედ, აფრიკის საფეხბურთო ჩემპიონატი ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ ფეხბურთის გულშემატკივარმა ყურადღება მიაქციოს.

ილია მხეიძე

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი. 23-ე ტური

13 იანვარი

ბოლტონი — უიმბლდონი	1,6	3,0	3,0
ქოვენთრი — ნიუკასლი	4,4	3,2	1,3
ევერტონი — ჩელსი	1,5	2,8	3,2
ლიდსი — ვესტ ჰემი	1,2	3,0	6,5
მანჩესტერ იუნაიტედი — ასტონ ვილა	1,3	2,8	5,6
მიდლსბრო — არსენალი	1,7	2,7	3,0
ნოტინგემი — საუთჰემპტონი	1,2	3,0	6,5
ქუინზ პარკ რეინჯერსი — ბლეკბერნი	2,3	2,4	2,3
შეფილდი — ლივერპული	2,5	2,5	2,0
ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი	1,2	3,0	6,5

იტალიის ჩემპიონატი. მე-17 ტური

14 იანვარი

კრემონეზე — მილანი	4,0	3,0	1,4
ფიორენტინა — პიაჩენცა	1,15	3,1	7,0
ინტერი — რომა	1,6	2,6	3,6
იუვენტუსი — ბარი	1,1	3,2	8,0
ლაციო — ტორინო	1,2	3,0	6,5
პადოვა — ატალანტა	1,6	2,8	3,2
პარმა — კალიარი	1,3	2,8	5,6
სამპდორია — ვიჩენცა	1,5	2,7	4,0
უდინეზე — ნაპოლი	1,7	2,7	3,0

ესპანეთის ჩემპიონატი. 21-ე ტური

13 იანვარი

ალბასეტე — ატლეტიკო	3,8	2,8	1,5

14 იანვარი

სოსიედადი — რასინგი	1,2	3,0	6,5
ტენერიფე — ხიხონი	1,3	2,8	5,6
სალამანკა — სევილია	1,7	2,8	2,9
კომპოსტელა — ესპანიოლი	1,8	2,5	3,0
ვალენსია — სელტა	1,2	3,0	6,5
ბარსელონა — დეპორტივო	1,6	2,5	3,8
ბეტისი — ვალიადოლიდი	1,15	3,1	7,0
ოვიედო — მერიდა	1,4	2,8	4,4
რეალი — სარაგოსა	1,3	2,8	5,6
რაიო ვალეკანო — ატლეტიკი	2,3	2,4	2,3

შოტლანდიის ჩემპიონატი. 23-ე ტური

13 იანვარი

აბერდინი — სელტიკი	4,0	3,0	1,4
რეინჯერსი — რეის როვერსი	1,05	3,4	10,0

ტურში გატანილი გოლები:

ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9

ესპანეთი. 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათეული სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი ნაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვერარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
1	ALBACETE BALOMPIE	■			2-0						1-1			0-1	3-5	0-0	3-3	3-2		1-3	4-2	4-0	
2	RCD ESPAÑOL BARCELONA	1-0	■				0-0				3-1		1-0	1-1		1-1	3-1			2-0	2-0	2-2	
3	FC BARCELONA	3-0	2-1	■	4-1		1-0			2-0		4-1	1-1				4-1			1-0			2-2
4	ATHLETIC DE BILBAO		0-0		■		2-1	1-0	0-2				4-0	1-0	0-0			1-1			2-1	3-0	1-1
5	SD COMPOSTELA	3-1		2-1	2-1	■	1-0	4-0		1-0		4-1	2-0				0-0						1-0
6	SPORTING GIJON	3-0					■				0-0		4-2	1-1		2-3	2-2	2-1		1-3	1-2	1-0	
7	DEPORTIVO LA CORUÑA	5-0	0-1				1-0	■			3-0		2-3	2-3		0-0	2-0			3-0	1-1		
8	ATLETICO DE MADRID		2-1	3-1		3-0	2-0	1-0	■	0-0		3-0			4-1				3-1				1-1
9	RAYO VALLECANO	2-0	1-0				2-0	0-6		■	1-5		1-2			1-2	1-4			3-2			4-1
10	REAL MADRID CF			1-1	1-2	2-1			1-0		■	2-3			3-2			4-1	2-0		4-1	1-0	
11	REAL OVIEDO	1-0	1-2		0-0		1-0	0-2		2-0		■	2-1			0-1	2-2			0-1			
12	RACING SANTANDER	5-5							0-4		2-0		■	0-0		0-0	2-1	1-1		0-3	0-0	2-1	
13	REAL ZARAGOZA			0-3		1-0			0-1	1-1		1-0		■	1-2			0-1	0-2		5-3	0-0	
14	REAL SOCIEDAD		0-1	1-1		0-1	2-0	2-1		2-1		1-1			■				0-1				1-2
15	REAL BETIS SEVILLA			1-5	0-0	5-0			2-1		0-0			3-1	3-1	■		1-1	3-3			0-3	
16	SALAMANCA				2-1				1-3		0-2			0-1	3-3	2-1	■		1-2	4-0	0-0	0-1	
17	SEVILLA FC		0-3	1-0		0-1		0-0	0-0	1-0		1-1			2-1			■	0-1				3-0
18	CD TENERIFE	1-3	1-4	1-1	3-2	1-1		1-1		2-2		3-3	2-0						■				1-0
19	VALENCIA CF				3-1	5-2			0-1		4-3			0-0	0-1	1-1		1-0		■	1-0		
20	REAL VALLADOLID			0-2		0-0			0-1	1-1		2-2			3-0			3-3	3-0		■	1-1	1-1
21	RC CELTA VIGO			1-0		0-1		0-0	0-3	2-0		1-0			1-1			4-0	2-2			■	2-0
22	MERIDA	1-1	0-1				1-0	0-2			2-2		3-1	1-1		1-1	0-0			0-2			■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	FC ARSENAL	■	2-0	0-0		1-1						1-0	1-1		1-1	3-0	4-2	4-2		1-0	1-3
2	ASTON VILLA	1-1	■		1-0	0-1	4-1	1-0				3-1		1-1	1-1						2-0
3	BLACKBURN ROVERS		1-1	■		3-0	5-1				2-0	1-2	1-0		7-0	1-0		2-1	2-1	4-2	
4	BOLTON WONDERERS	1-0		2-1	■		1-2	1-1	0-2	0-1			1-1	1-3	1-1	0-1				0-3	
5	FC CHELSEA	1-0			3-2	■	2-2	0-0		2-2		1-4		1-0			0-0	3-0	0-0		1-2
6	COVENTRY CITY	0-0	0-3	5-0			■	2-1			2-1	0-4			1-1		0-1	1-1	2-3		3-3
7	FC EVERTON	0-2		1-0				■	2-0			2-3	4-0	1-3		2-0	2-2	2-0	1-1	3-0	
8	LEEDS UNITED	0-3	2-0	0-0		1-0	3-1		■	1-0	0-1	3-1				1-3	2-0				1-1
9	FC LIVERPOOL	3-1		3-0	5-2		0-0	1-2		■	6-0	2-0			4-2	1-0	1-0	1-1			
10	MANCHESTER CITY	0-1	1-0		1-0	0-1		0-2	0-0		■		0-1		1-1				1-1	2-1	1-0
11	MANCHESTER UNITED				3-0	1-1				2-2	1-0	■	2-0	2-0		2-1	2-2	4-1		2-1	3-1
12	MIDDLESBROUGH		0-2	2-0		2-0	2-1		1-1	2-1	4-1		■			1-0		0-0	0-1	4-2	
13	NEWCASTLE UNITED	2-0		1-0		2-0	3-0	1-0	2-1	2-1	3-1		1-0	■	3-1						6-1
14	NOTTINGHAM FOREST		1-1		3-2	0-0		3-2			3-0	1-1	1-0		■		1-0			1-1	4-1
15	QUEEN'S PARK RANGERS		1-0		2-1	1-2	1-1				1-0		1-1	2-3	1-1	■	0-3		2-3		0-3
16	SHEFFIELD WEDNESDAY			2-1	4-2		4-3		6-2		1-1	0-0	0-1	0-2			■	2-2	1-3	0-1	
17	FC SOUTHAMPTON	0-0	0-1		1-0				1-1	1-3				1-0	3-4	2-0		■	0-0	0-0	
18	TOTTENHAM HOTSPUR	2-1	0-1		2-2			0-0	2-1	1-3		4-1		1-1	0-1	1-0			■		3-1
19	WEST HAM UNITED		1-4	1-1		1-3		2-1	1-2	0-0						1-0		2-1	1-1	■	
20	FC WOLVERHAMPTON			1-1	3-2			2-3	2-4	1-0			0-0	3-3			2-2	1-2	0-1	0-1	■

CLEAR WATER TRAINING TOURS

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით **CLEAR WATER** განკუთვნილია საწარმოების, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავიანთი სპეციალობით დაინტერესებულნი არიან უცხოეთში მოკლევადიანი პროფესიული ინტენსიური სწავლების პროგრამით. დიდ ბრიტანეთს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ბიზნესისა და ფინანსების საერთაშორისო ცენტრს, აქვს დიდი სასწავლო და საკვლევი პოტენციალი.

სწავლებასთან ერთად ტური ითვალისწინებს ფართო საექსკურსიო პროგრამასაც.

CLEAR WATER ფინანსების, ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიასთან ერთად ოცზე მეტ სპეციალობაში გთავაზობთ სწავლების მოქნილი პროგრამის ფართო ასორტიმენტს ხელმისაწვდომ და სუბსიდირებულ ფასებში — 3500 ამერიკული დოლარი ერთ მსმენელზე. ღირებულებაში შედის: ლონდონში 10 დღიანი ყოფნა §მეცადინეობა და კულტურული პროგრამა), ავიაბილეთების ფასი, ცხოვრება და სასტუმროში სამჯერადი კვება, ვიზების გაფორმება, მგზავრობის მთლიანი დაზღვევა და ლონდონში მთარგმნელის მომსახურება.

სწავლებაში ჩართულია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, დიდი ბრიტანეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპანიების მონახულება. მათი მიზანია აჩვენონ, თუ რეალურად როგორ მუშაობენ დასავლეთისა და უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ორგანიზაციები.

სასწავლო ტური საერთაშორისო კონტაქტებისა და კოლეგებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. ეს ტური განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც მოკლე ვადებში თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ისწრაფვის.

ცნობებისათვის დარეკეთ:

თბილისში — 93-16-08, ლონდონში — 480-35-16

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ

დეკემბრის მიწურულს სინგაპურში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე ახალმა პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა მსოფლიო პირველობის ახალი ფორმულა წარმოადგინა, რომელიც ცხარე კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო. იგი ძალაში შევა 1996 წლიდან. საერთო აზრით, მსოფლიო პირველობის ახლებური გათამაშება რევოლუციური გადწყვეტილებაა.

მსოფლიო პირველობის ილუმჟინოვისეული ვარიანტი, როგორც თავად ბრძანებს, ხუთი მუხლისგან შედგება: პირველი - ჩემპიონატი გაიმართება ყოველ წელს და მასში შედამ 100 უძლიერესი მოჭადრაკე (რეიტინგების მიხედვით) მიიღებს მონაწილეობას; მეორე — იგი მოწყობა ერთსა და იმავე დროს — საშობაო არდადეგების დღეებში. ამ პერიოდში სპორტის გულშემატკივრები შედარებით თავისუფალი არიან ფეხბურთის, ჩოგბურთის, კრივის სანახაობებისგან; მესამე — ჩემპიონატი „მოკლე" იქნება — გაგრძელდება 21 დეკემბრიდან 10 იანვრამდე; მეოთხე — გათამაშების სისტემა ოლიმპიური იქნება. მატჩების ყაიმით დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად გამოიყენება სწრაფი ჭადრაკის თაი-ბრეკი; მეხუთე — ჩემპიონატის ფონდი 5 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება.

ილუმჟინოვმა განაცხადა, რომ შემდგომში ფონდი 10 და მეტ მილიონ დოლარამდე გაიზრდება. სხვა ცვლილებებიც მაქვს განზრახული, მაგრამ ჯერ საიდუმლოდ ვინახავ, ესეც დასძინა.

— უახლოეს ხანს შვეიცარიაში ოფიციალურად იქნება რეგისტრირებული ფიდეს ლოგოტიპი „მსოფლიო პირველობა ჭადრაკში" და ამიერიდან ვერცერთი ორგანიზაცია ამ სახელწოდებით ვერ მოაწყობს შეჯიბრებას — თქვა ახალმა პრეზიდენტმა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲜᲘ

ახლახან ფიდემ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეთა რეიტინგები 1996 წლის 1 იანვრისთვის.

გთავაზობთ ვაჟთა და ქალთა უძლიერეს ათეულებს:

ვაჟები: ვლადიმერ კრამნიკი 2775, გარი კასპაროვი 2775, ანატოლი კარპოვი ((სამივე — რუსეთი) 2770, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 2735, გატა კამსკი (აშშ) 2735, ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 2725, ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 2700 , ბორის გელფანდი (ბელარუსი) 2700, ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 2690, იუდით პოლგარი (უნგრეთი) 2675,... 17. ზურაბ აზმაიფარაშვილი 2660,... 72. გია გიორგაძე 2590.

ქალები: იუდით პოლგარი 2675, ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) 2550, სე ცზიუნი (ჩინეთი) 2530, პია კრამლინგი (შვედეთი) 2525, მაია ჩიბურდანიძე 2515, სოფი პოლგარი (უნგრეთი) 2495, ნანა იოსელიანი 2485, ქეთევან არახამია 2480, ალისა გალიამოვა-ივანჩუკი (უკრაინა) 2480, სვეტლანა მატვეევა (რუსეთი)) 2445, ალისა მარიჩი (იუგოსლავია) 2435... 19 ქეთევან კახიანი-გერშენსკა (გერმანია) 2390,... 23. ნონა გაფრინდაშვილი 2380,...31. ნინო ხურციძე 2365... 34. ნინო გურიელი 2360.

ᲐᲮᲚᲐ გაეცანით საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ფიდესეულ რეიტინგებს. ამ სიაში არ არის ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც ამჟამად ბოსნიის სახელით გამოდის.

გია გიორგაძე 2590, გენდი ზაიჩიკი 2540, ზურაბ სტურუა 2540, ელიზბარ უბილავა 2535, მაია ჩიბურდანიძე 2515, ლაშა ჯანჯღავა 2495, ნანა იოსელიანი 2485, ქეთევან არახამია 2480, ალექსანდრე დგებუძე 2470, გია ბალათუროვი 2460, გიორგი ყაჭეიშვილი 2460, იგორ ეფიმოვი 2455, თამაზ ტბატაძე 2450, რომან სიჭინავა 2445, ზვიზ სუპატაშვილი 2445, აკაკი იაშვილი 2435, ნონა გაფრინდაშვილი 2380, ნინო ხურციძე 2365, გიორგი გოგიჩაიშვილი 2365, დავით პაქსაშვილი 2365, ნინო გურიელი 2360, ზურაბ იგრიაშვილი 2360, გოჩა ტყებუჩავა 2360, კახა შალამბერიძე 2355, თამაზ გელაშვილი 2345...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲠᲘᲡ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ინგლისელი მთამსვლელის ერიკ შიპტონის ექსპედიციის წევრები როცა 1935 წელს ევერესტის ფერდობებზე ჩრდილოეთ უნგრის ქვემოთ დაახლოებით 6250 მეტრის სიმაღლეზე მესამე ბანაკის დასადგმელად ავიდნენ, მოულოდნელად დაფლეთილ-დაგლეჯილი და დამხობილი კარავი დაინახეს. ერთხანს შეცბუნებულნი უყურებდნენ. მერე ისედაც აჩქარებული გული უფრო აუჩქარდთ და კარვისკენ გასწიეს. კარვიდან თოვლი გადაზვეტეს და შიგ რომ შეიხედეს, ერთი კაცის გვამი იხილეს. მხოლოდ ჩონჩხილა დარჩენილიყო.

ერიკ შიპტონის ექსპედიციას თან ახლდა იმ დროს სრულიად ახალგაზრდა თენსინგ ნორგეი, რომელიც შემდგომ ევერესტზე ედმუნდ ჰილარისთან ერთად პირველამსვლელი აღმოჩნდა.

თენსინგმა ასე აწერა კარავში ნანახი სურათი:

— ძველ, დაფლეთილ კარავში მხოლოდ ჩონჩხილა ვნახეთ, რომელსაც ზედ შემოხმობოდა გაყინული კანი. ჩონჩხი ისე უცნაურად იყო მოხრილი, თითქოს ეს კაცი ფეხსაცმლის გახდის დროს მომკვდარიყოს. ცალი ფეხსაცმელი მართლაც გახდილ ჰქონდა და ჩონჩხის თითებს მეორე ფეხსაცმელის თასმა ეჭირათ... ჩვენ ის მორიდარბოდა. ევერესტზე წინა ექსპედიციების მასალების კითხვაში ათენებდა და აღმეებდა. წაიკითხა ტიბეტზე, შერპებზე, მყინვარებზე, ნაპრალებზე, ქარბუქებზე, მოყინულობაზე, მოწყეტაზე და სხვა ათას უბედურებაზე. მის ადგილზე სხვა ალბათ გიჟურ იდეაზე ხელს აიღებდა, მაგრამ რაც მეტს კითხულობდა, სულ მეტად ფიქრობდა ევერესტზე. ახალ გაზეთში ახალი ამბავიც წაიკითხა. ინგლისელი ჰუსტონი თვითმფრინავით ევერესტზე გადაფრენას აპირებსო და უილსონი უმალ მასთან გავარდა, იქნებ შენ გუნდში ჩამრიცხო და რიცა დედამიწის უმაღლეს მწვერვალს თავზე მოექცევთ... პარაშუტით გადმოვხტებით.

არადა, პარაშუტი თვალითაც არ ენახა.

მერე ჰუსტონთან გადაფრენაზე თავადვე თქვა უარი და „უკეთესი" იდეა მოუვიდა. თავადვე ვიყიდი თვითმფრინავს, ტიბეტში ჩავფრინდები, აღმოსავლეთ რონგბუკის მყინვარზე დავეშვები და იქიდან მარტოდმარტო გავუდგები ევერესტის კენწეროსკენო. ეს რომ მისმა ახლობლებმა და მეგობრებმა გაიგეს, ჯერ იფიქრეს, ხუმრობსო, მერე, როცა მის გადწყეტილებაში დარწმუნდნენ, სასოწარკვეთას მიეცნენ. ყელგამოწვდილნი ემუდარებოდნენ, რამ გადაგრია, არც ალპინიზმისა გაგეგება რამე, არც ფრენისა, შინ დარჩი, მშვიდად



ᲛᲝᲠᲘᲡ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

ნის ქვებქვეშ, მყინვარის გვერდით დავასაფლავეთ.

მანამ დაასაფლავებდნენ, მთამსვლელებმა კარგად დაათვალიერეს კარავი და მისი პატრონის დღიურიც იპოვეს. იგი ასეთი სიტყვებით თავდებოდა: „დიდებული დღეა. წინ!"

დღიურზე მისი პატრონის ვინაობაც ეწერა: „მორის უილსონი"

„მორის უილსონი იყო პირველი, ვისაც ევერესტზე მარტოდმარტო ასვლის იდეა მოუვიდა აზრად. ის არ იყო ალპინისტი, მაგრამ მტკიცედ სწამდა, რომ ღრმად რელიგიურ ადამიანს, ლოცვებით განწმენდილს, შეუძლია მაღწიოს ყველაფერს. მათ შორის დედამიწის უმაღლეს მწვერვალს" — ეს უკვე „ევერესტელი შერეკილის" რაინმოლდ მესნერის სიტყვებია, რომელმაც მორის უილსონის უგუნური იდეა პირველმა და ჯერჯერობით უკანასკნელმა განახორციელა 1980 წელს, მაგრამ უილსონის დროს ეს ასგზის უგუნურობა იყო, მითუმეტეს არამთამსვლელისთვის.

...1933 წლის 21 მაისს, იმ კვირა დღეს, მორის უილსონი ლონდონში გამოეშვიდობა ახლობლებს, მეგობრებს, რეპორტიორებს, ჩაჯდა თავის მოფახფახებულ თვითმფრინავში, დაქოქა, ააგუგუნა და ადგილს მოსწყდა. ჰაერში რომ აიჭრა, ამომავალი მზისკენ გაფრინდა. გამცილებელთაგან არავის სჯეროდა, რომ უილსონი ცოცხალი დაბრუნდებოდა, მითუმეტეს კაცი, რომელსაც პილოტობისაც ბევრი არაფერი გაეგებოდა.

გამცილებლები დიდხანს გასცქეროდნენ აღმოსავლეთით გაფრენილს, მანამ იგი წერტილად არ გადაიქცა და გაქრა.

იგი გამცილებელთათვის საბოლოოდ გაქრა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთხელ ფრაიბურგში რომ ისვენებდა, საქმედლეული მორის უილსონი პატარა კაფეში შეყიალდა. იქ ძველი გადაყვითლებული გაზეთიდან ამონაჭერი იპოვა და, დრო რომ მოეკლა, ჩაიკითხა. მასში ევერესტზე ინგლისელთა 1924 წლის ექსპედიციაზე იყო მოთხრობილი. მოთხრობილი იმაზე, თუ ამ მთაზე როგორ დაიკარგნენ უგზოუკვლოდ მელორი და ირვინი იქ, სადღაც 8600 მეტრის სიმაღლეზე — ვინ იცის, იქნებ მწვერვალიდან დაბრუნებულნიც. მოთხრობილი იყო იმაზეც, თუ როგორ დაიღუპა იმ ექსპედიციის წევრი ორი შერპიც.

ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ გაზეთის ის ნაგლეჯი შორს მოესროლა და ეთქვა, საწყალი შერეკილებიო, შეჰყვირა „ევერესტი!"

ევერესტი! აი, სად უნდა ავიდე. ევერესტი! აი, ნამდვილ მამაკაცთა საქმე! ევერესტი! აი, ჩემი მიზანი!

აღელვებულმა და აფორიაქებულმა მოსვენება მთლად დაკარგა. დაკრა ფეხი და ლონდონში გავარდა. გავარდა და საქმე გაიჩინა. ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკაში იცხოვრე, თორემ უეჭველად დაიღუპებიო. ის კი ამაზე იცინოდა და პასუხობდა, პილოტობასაც დავეუფლები და ალპინიზმსაც. უნიჭო კი ნამდვილად არ იყო...

დიდი ენინანი და თავისნათქვამი იყო. ნახევარი სიცოცხლე უმიზნოდ გაატარა, ახლა კი ცხოვრების დიდი მიზანი გამოუჩნდა და მასზე უარს როგორ იტყოდა?

მორის უილსონი 1898 წელს დაიბადა ბრედფორდში, 3 წლით ადრე კი ევერესტზე პირველი ექსპედიცია დაიგეგმა, მაგრამ ვერ ჩატარდა.

მორისის მამა შალის ნაწარმის პატარა [illegible] მეპატრონე, ზეციერი და [illegible] ბურჟუა იყო. მორისი [illegible] ოთხიდან მესამე შვილი აღმოჩნდა. სკოლაში კარგად სწავლობდა და თორმეტი წლისა ფრანგულად და გერმანულადაც ლაპარაკობდა. მომავალსაც კარგს უწინასწარმეტყველებდნენ. 1916 წელს, თვრამეტი წლისა რომ შეიქნა, მოულოდნელად გავარდა და მოხალისედ სამხედრო სამსახურში ჩაწერა. როგორც ნიჭიერმა, სამხედრო კარიერის საფეხურებზე ასვლა სწრაფად დაიწყო. სულ მალე მას ეფრეიტორობა უბოძეს, მერე ლეიტენანტობაც. ამასობაში პირველი მსოფლიო ომი ატყდა და უილსონიც ბრძოლის ველზე გაიჭრა. მამაცობისთვის ჯილდოც მიიღო, მაგრამ ხელში და მკერდში დაჭრილი დემობილიზაციაში გაუშვეს. შინ დაბრუნებული ჩვეულებრივ მშვიდ ცხოვრებას ვერაფრით შეეგუა და მამის ფაბრიკაც მალე მობეზრდა. თავს გამუდმებით ეკითხებოდა, ნეტა რისთვის ვცოცხლობო. იქნებ ცხოვრების მიზანი ლონდონში ვიპოვოო და ისიც ინგლისის დედაქალაქისკენ გაემგზავრა, მაგრამ იქაც ერთფეროვანი ცხოვრება იხილა. იქიდან ბედის საძებნელად ოკეანეს გაღმა, ამერიკაში გაემგზავრა. ჯერ ნიუ-იორკი იყო, მერე სან-ფრანცისკო, მაგრამ აქაც მონოტონური ცხოვრება ეჩვენა და ახლა ახალი ზელანდიისკენ აიკრა გეზანბადი. თავისი მშფოთვარე სულის შესაფერისი რამ ვერც იქ იპოვა და ხელიც ჩაიქნია. თითქოს ბედს შეურიგდა, სხვებივით ცხოვრება დაიწყო. მრავალი წლის განმავლობაში ხან სოფლის მეურნეობას მისდევდა, ხან მანქანებითა თუ მედიკამენტებით ვაჭრობის ბიზნესს, ველიგტონში კი ქალის ტანსაცმლის მაღაზიაც ჰქონდა.

მშვიდად და აუღელვებლად ცხოვრობდა. არც მოგება ახარებდა და არც წაგებაზე იკლავდა თავს. ერთი სიტყვით, დინებას მიჰყვებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი რაღაც ჭია შეუჩნდა.

ყველაფერი მიყიდ-მოყიდა, ჩაჯდა საფოსტო ხომალდში და სამშობლოში დაბრუნდა. ის ჭია აქ ისევ ეკითხებოდა, რისთვის ცხოვრობ შენ, მორის უილსონო. ამაზე ფიქრით გახდა და დასუსტდა კაცი, მაგრამ პასუხი ვერა და ვერ იპოვა. ამასობაში ეს საშაალო ხნის, დათვითთ ძლიერი კაცი ზეზეულად ჩამოხმა და ხველებაც აუტყდა. უმიზნოდ დარჩენილს აღარაფერი აინტერესებდა და წამლებსაც არ სვამდა.

მერე მორის უილსონი კვლავ სადღაც გაქრა და გადაიკარგა. როცა დაბრუნდა, ისევ ის ჯანიანი, დათვივით ძლიერი და მშვიდი იხილეს. ახალი ზელანდიიდან ევროპაში დაბრუნებული მორის უილსონი ინდოელ იოგებს გადაყრია და იმათაც მისთვის ბევრი რამ უსწავლებიათ. მათი რჩევისამებრ უილსონი 35 დღით სადღაც განდეგილივით გარიყულა, ჩაკეტილა და ლოცვისთვის მიუცია თავი. არაფერს ჭამდა და იშვიათად მხოლოდ ერთ ყლუპ წყალს სვამდა.

და ჰოი საოცრებავ, უილსონი მკვდრებივით აღსდგა და სულიერი სიმშვიდეც [illegible] ძალ ძონდიმა [illegible] ბაადეკლ[illegible] ზეკას მთელი კაცობრიობა ეზიარებოდ[illegible] მაგრამ როგორ?

ამ კითხვაზე პასუხი მაშინ იქ დაუდა, ფრაიბურგის კაფეში - ევერესტი!

იგი დარწმუნებული იყო, რომ ღმერთის შეწევნით ადამიანი ყველაფერს მიაღწევდა და ეს რომ ყველასთვის დემტკიცებინა, ევერესტზე მარტოდმარტო ასვლა განიზრახა.

ერთხანს ფიქრობდნენ, უილსონი ამ გიჟური იდეისაგან ხელს აიღებსო, მაგრამ როცა მან დანჯღრეული ბიპლანი „ჯიპსი მოტი" იყიდა და ლონდონის აეროკლუბშიც მივარდა, არიქა, პილოტობა მასწავლეთო, მაშინ კი დაეჭვდნენ, ეს კაცი ხომ არ გადაირიაო.

უილსონს განზრახვაზე არც მაშინ აუღია ხელი, როცა აეროკლუბიდან გამოაპანღურეს, შენგან პილოტი ვერ დადგებაო. სპეციალისტები ჩასჩიჩინებდნენ, შენ და შენს გაუბედურებულ ბიპლანს სულ მცირე შანსიც კი არ გაქვთ, რომ თუნდაც ინდოეთამდე ჩააღწიოთ. უთოდ დაიღუპები, რადგან ღია, გამართული ბიპლანით უკაცრიელი ადგილების თავზე 8000 კილომეტრის გადაფრენა გამოცდილ პილოტებსაც კი გაუჭირდებათო.

მაგრამ უილსონს ღმერთის იმედი ჰქონდა. გავარდა და ახლა ალპინისტური საჭურველი იყიდა: კარავი, ზურგჩანთა, საძილე ტომარა... იმდენად იყო თავის თავში დარწმუნებული, რომ ავტომატური გამშვებით ფოტოაპარატიც იყიდა, რათა ევერესტის თავზე საკუთარი თავი აღებეჭდა ფირზე.

ეს ყველაფერი რომ შეიძინა, იფიქრა, მთლად მამაზეციერის იმედად ხომ არ უნდა ვიყოო და მთამსვლელობაში ვარჯიში დაიწყო. ჯერ ქვებით სავსე ზურგჩანთით ლონდონიდან ბრედფორდამდე ტრიკონებით (მთამსვლელთა რკინის ღობეებიანი ფეხსაცმელი) წინ და უკან სიარული დაიწყო, მერე ასვლებიც, მაგრამ ამ საქმეში პროფესიონალ შვეიცარიელ გამცილებლებს რიდი მიბარებია და ალპებში „ნამდვილი" მწვერვალების დალაშქვრა კი არ დაუწყია, არამედ უელსში რაღაც „ბორცვებზე" დაიწყო ბორიალი. იქ, რა თქმა უნდა, ვერც თოვლზე სიარული ისწავლა, ვერც წერაყინით ყინულზე საფეხურების ჭრა და სხვა მისთანანი.

მერე დაიკინა, ნერვები უნდა გამოვცადო, ჩემი გამბედაობა შევამოწმოო და, კაცმა, პარაშუტისტობის ბაიბურში რომ არ იყო, ზედ ლონდონის თავზე აეროპლანიდან ისკეპა და გაზეთებმა ერთი ჯაიშვილებელიც ატეხეს, გაიჩერეთ ეს კაცი, მოლად რომ გაგიჟებულა და უარესსაც რომ აპირებსო.

ეს ლანძღვა-თათხვა და გაკიცხვა უილსონმა ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა. სქელკანიანივით მშვიდად აგრძელებდა სამზადისს. თავის ბიპლანს დიდი ამბით ვება ასოებით წაწერა „EVER WREST". ზედ უფრო დიდი საწვავის ავზი [illegible] და მასიც გაამაგრა, ვინ იცის სად, [illegible] ქაღალდზე მომიწიოს დაჯდ[illegible]. ბოლოს რეკაც შეიძინა და მარშრუტიც ასე მონიშნა: ფრაიბურგი - ალპები - მილანი - პალერმო - ხმელთაშუა ზღვა - ტუნისი... და გაფრენის დროც დანიშნა 1933 წლის 21 აპრილი - თავისი დაბადების დღე, მაგრამ აპრილის შუა რიცხვებში უილსონს ანვინა დაემართა და სიცხისაგან გათანგულს აბოდებდა. როგორც ღვთისმოსავმა კაცმა, უმალ მამაზეციერს შესთხოვა გამოჯანმრთელება და რამდენიმე დღეში მართლაც ფეხზე წამოხტა და დათქმულ დროს საფრენი აპარატი დაქოქა, მაგრამ თავისი დაბადების დღე, ღამის დაღუპვის დღედ ექცა - ის იყო მისი ბიპლანი ცაში აიჭრა და ... უმალ დედამიწაზე ტყაპანი მოადინა.

უილსონი ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

ამასობაში ჰუსტონის გენდის ბიჭები კლაიზდაილი და მაკინტაირი „ბრისტოლ პეგასებით" ორჯერ გაფრინდნენ, თუმცა უმაღლესი მწვერვალის თავზე გადაფრენა ვერ გბედეს, რადგან იმდროინდელი ავიაცია ასეთი ტრიუკებისთვის ჯერ მზად არ იყო - მათ ევერესტს, მაკალუსა და კანჩენჯანგას გარს შემოუფრინეს, დაზვერეს და იქიდან დაბრუნდნენ მდიდარი ნადავლით — ფოტო-კინოფირებით, რომლებზეც ეს მწვერვალები იყო აღბეჭდილი.

ევერესტისკენ უილსონის თანამემამულე პიუ რატკლეჯის დიდი ექსპედიციაც დაიძრა. ის უკვე საბაზო ბანაკს უახლოვდებოდა. ყოველივე ამაზე უილსონი ღამის გადაირია, ეშანდ ევერესტზე ასვლა არ დამასწრონო. ამიტომ ტრავმები მოიშუშა თუ არა ისევ თავის დანგრეულ „EVER WREST"-ს დაუწყო ჩხიკინი. როცა ასაფრენად გაამზადა და დღე-დღეზე სტარტზეც უნდა დამდგარიყო, ინგლისის საჰაერო გადაზიდვების სამინისტრომ უილსონთან დეპეშა აფრინა, გაფრენას გიკრძალავო, რითაც ამ გადარეულის შეჩერება სცადა, მაგრამ ჩვენმა შერეკილმა ტელეგრამა წაიკითხა თუ არა, მშვიდად დაზია და ურნაში უკრა თავი. 21 მაისის დილას, იმ კვირა დღეს კი დაქოქა თავისი თვითმფრინავი და ამომავალი მზისკენ მართლაც გაფრინდა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გაგრძელება იქნება

ᲨᲔᲛᲝᲬᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲤᲘᲥᲠᲜᲘ ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲐᲛᲣᲜᲘᲙᲔᲡᲘ, ᲑᲣᲠᲗᲐᲝᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲡᲬᲧᲣᲠᲝᲓᲐ

ᲑᲐᲚᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲐᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲝᲰᲐᲜᲔᲡᲑᲣᲠᲒᲨᲘ: ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲚᲜᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ — ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲙᲘ, ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲔᲒ ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲐᲛᲣᲜᲘᲙᲔᲡᲘ, ᲒᲐᲐᲡᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲒᲝᲚᲘ ᲨᲔᲣᲒᲓᲔᲛ ᲨᲐᲑᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ: ᲒᲔᲠᲪ ᲐᲛᲣᲜᲘᲙᲘ ᲨᲔᲐᲒᲓᲔᲑᲐ ᲒᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲪ ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲐ ᲒᲐᲒᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ. ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-ᲑᲝᲚᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲜᲢᲘᲡᲢᲘᲚᲘᲡᲗᲐᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲡᲪᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ.

ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ ᲗᲣᲙᲘ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲰᲒᲐᲒᲡ ᲐᲛ ᲢᲐᲘᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔᲕ ᲤᲔᲖᲑᲑᲝᲠᲗᲡ, ᲗᲝᲠᲛᲝᲛ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲣᲜᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲑᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲑᲐᲜᲗ. ᲔᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ (ᲐᲒᲠᲔ ᲰᲥᲕᲘᲐ) ᲘᲛᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲠᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲔᲖᲑᲑᲝᲠᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ. ᲓᲘᲐᲮ, ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲚᲐ ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲬᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲓᲐ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲔᲥᲘ? ᲒᲐᲜ ᲐᲛᲣᲜᲘᲙᲔᲛ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ? ᲘᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲞᲘᲠᲨᲘᲐᲢ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲠᲐᲓ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲚᲘ. ᲛᲐᲛᲑᲝᲜᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲣᲛᲐᲛᲐᲨᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐᲡ — ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ „ᲨᲔᲓᲘᲡᲝᲜ ᲡᲕᲘᲐᲠ ᲒᲐᲠᲓᲔᲜᲨᲘ“ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ 1971 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲚᲘ — ᲤᲠᲔᲖᲔᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ 25 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲫᲔᲠᲜᲐᲡ. ᲨᲔᲣᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲙᲐᲑᲔᲚᲝ ᲢᲔᲚᲔᲐᲠᲮᲘ „ᲤᲔᲘᲤᲔᲠ-ᲕᲔᲣ-ᲗᲘ-ᲕᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲣᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ ᲤᲝᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲐᲙ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲙᲐᲠᲘᲕᲝᲡ.

„ᲤᲔᲘᲤᲔᲠ-ᲕᲔᲣ“ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ 29 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲩᲮᲣᲑᲘ ᲯᲝᲠᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲘᲥᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲤᲚᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲐᲚᲐᲜ ᲓᲘᲕᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲪᲚᲝ ᲓᲐᲛᲢᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲚᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ „ᲤᲔᲘᲤᲔᲠ ᲕᲔᲣ“ ᲤᲝᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲣᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲓᲐ ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲑᲐᲜᲗ. ᲔᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ (ᲐᲒᲠᲔ ᲰᲥᲕᲘᲐ) ᲘᲛᲘᲗᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲣᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲓᲐ ᲛᲣᲨ